

ბუღალტრული აღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 1 (300)
იანვარი
2022

25 წელი ერთად...

ბუნდოვანი
უღრუხვე

შენახე

Gfpaა.ge
პროფესიული სტანდარტების
პრაქტიკული განმარტება


უმაღლესი დონის სერვისის და
მარკეტინგული მომსახურების მომწოდებელი
ბაიპროფი სანსონი

ბაიპროფი სანსონი
საქართველოს უმაღლესი დონის სერვისის და მარკეტინგული მომსახურების მომწოდებელი
ბაიპროფი სანსონი

ინფორმაცია ფარგლებში

ინფორმაცია რეაგირების სერვისების მომწოდებლის მიერ
საინფორმაციო და მარკეტინგული სერვისების მომწოდებლის მიერ
საინფორმაციო და მარკეტინგული სერვისების მომწოდებლის მიერ

N300
1996-2022



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№ 1 (300)

იანვარი

2022

რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი საბა ძაძამია

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ნადეჟდა კვატაშიძე; დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე;
რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად

რეგულირება უძველესი **გაპი ალავერდაშვილი**

უმალესი დონის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მოდული
გამოცდის ჩაბარების ტექნიკა 4

წაგებიანი საიჯარო ხელშეკრულებები და გაუფასურება,
ასევე ინვესტირებთან დაკავშირებული საკითხები
მოდული „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება“ 17

საჯარო სექტორის მართვა
მოდული – „სტრატეგიული ბიზნესლიდერი“ 23

საბა ქაქაშია

ACCA-ის პასუხი ევროკომისიის კონსულტაციებთან დაკავშირებით –
კორპორატიული ანგარიშგების გაძლიერების თაობაზე..... 30

8 რჩევა - შესაძლებლობები ახალ ტექნოლოგიებში 32

ოფიციალური მასალები 34

კითხვა-პასუხი 41

ინფორმაცია პირუბიდან 46

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი
წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97
რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“. კოდი 220101830 ა/ა 7 467 286

ჟურნალი ააწყო და დააკაბადონა ნ. ყაველაშვილიმა
გადაეცა წარმოებას 9.02.2022. ხელმოწერილია დასაბუჯდად 12.02.2021.
ფორმატი 70x108 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 3. ტირაჟი 1500

ფასი 6 ლარი

© ბაფი 2021 წელი ჟურნალი რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოში
18.09.1997 წ. რეგისტრაციის № 4/4-1236

მიმდინარეობს რეგისტრაცია ბაფის პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში ჩაერთეთ პროგრამაში და გახდით ბაფის პროფესიული სერტიფიცირების კანდიდატი!

პროგრამაში ჩართვის უფლება აქვთ:

- ნებისმიერი პროფილის უმაღლესი განათლების მქონე პირებს და სტუდენტებს;
- ნებისმიერი პროფილის პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის ან იდენტური კვალიფიკაციის დიპლომის მფლობელ პირებს.

პროფესიული სერტიფიცირების სალექციო კურსებზე ჩართვა **შესაძლებელია ყოველი წლის თებერვალსა და სექტემბერში**, რისთვისაც საბუთების და განცხადების მიღება იწყება ორი თვით ადრე.

პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში ჩართვის მსურველს მოეთხოვება შეავსოს განცხადება და ანკეტა, რომელსაც თან უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:

- დიპლომის ასლი
- პირადობის ასლი
- ფოტოსურათი (3X4)
- სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან.

პროგრამაში რეგისტრაცია ხდება ონლაინ:

1. დოკუმენტაცია გამოაგზავნეთ ქვემოთ მითითებულ ერთ-ერთ ელფოსტაზე:
gfpaa@gfpaa.ge, baf@baf.ge, miranda_7700@hotmail.com
2. დაწვრილებითი ინსტრუქცია და ინფორმაცია რეგისტრაციის შესახებ, ასევე განაცხადის და ანკეტის ფორმები იხილეთ ლინკზე:
<http://baf.ge/site/index.php?tid=33&W=green&lid=33...>
3. სალექციო კურსებზე რეგისტრაციის ინსტრუქცია:
<http://pbi.ge/?action=lectures>
4. მონაცემთა ბაზაში შესასვლელი ლინკი:
<http://lms.accatraining.ge/.../acca/login/student/index.php>

პროფესიული სერტიფიკაციის პრეპენდენტთა დასახმარებლად

რეპრიკას უძღვება
პაპი ალავერდიაშვილი

უმაღლესი დონის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მოდული

გამოცდის ჩაბარების თეზისი

მასალა მომზადებულია
ბაფის საგამოცდო კომისიის მიერ

თუ კანდიდატი ფიქრობს, რომ მან სიღრმისეულად შეისწავლა აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების უმაღლესი დონის სილაბუსი, გამოცდაზე დაწერა ვრცელი პასუხები, მაგრამ ვერ მიიღო გამსვლელი ქულა, ეს იმის ნიშანია, რომ მას სჭირდება გამოცდის ჩაბარების ტექნიკის დახვეწა. ჩაბარების ტექნიკაში იგულისხმება ცოდნა იმისა თუ როგორ უნდა იყოს ჩამოყალიბებული მოსაზრება იმისთვის, რომ დაიწეროს მაქსიმალური ქულა.

ცალკე ხაზგასასმელია ე.წ. „სპეკულაციური“ მოსაზრებები. „სპეკულაციურია“ მოსაზრება, თუ ის არ ეფუძნება სცენარში მოყვანილ სპეციფიურ ინფორმაციას. კანდიდატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მგავსი მოსაზრებების დაწერით ვერ მიიღებს ქულას და ამავდროულად დაკარგავს ძვირფას საგამოცდო დროს. კანდიდატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ამოცანის სცენარში იმაზე მცირედით მეტი მინიშნება დევს, ვიდრე ეს მაქსიმალური ქულების მისაღებადაა საჭირო და შესაბამისად „სპეკულირება“ მხოლოდ დროის ფლანგვაა და სხვა არაფერი.

ასევე, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ თუ ერთი და იგივე რისკი იწვევს ფინანსური ანგარიშგების ორი ან მეტი მუხლის უზუსტობას, კანდიდატი შეფასდება მხოლოდ ერთხელ, ორივეს დასახელების შემთხვევაშიც კი. მაგალითად, თუ არასწორი აღრიცხვა იწვევს ხარჯის შემცირებას ბუნებრივია, რომ იგივე ფაქტი გამოიწვევს მოგების ზრდასაც. შესაბამისად, კანდიდატი ვერ შეფასდება ორჯერ, ერთი და იგივე ფაქტის იდენტიფიცირებისას.

გარდა ამისა, კანდიდატებმა უნდა იცოდნენ, რომ ფასს-ების ცოდნა და მათი სცენარის კონტექსტში გამოყენება არის აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების უმაღლესი დონის გამოცდის ოქროს გასაღები.

4

ამ სტატიაში განვიხილავთ 2021 წლის ივლისის საგამოცდო სესიის პირველი ამოცანის „ა“ ნაწილს, რომელიც აუდიტორულ რისკებს ეხებოდა. კანდიდატებს მოეთხოვებოდათ მოკლე შენიშვნების ტექსტის მომზადება. რეკომენდებულია, რომ სცენარის წაკითხვამდე კანდიდატმა წაიკითხოს მოთხოვნა რაც მას გაუადვილებს სცენარში კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭირო ინფორმაციის მოძიებას. მოთხოვნა ჟღერდა შემდეგნაირად:

ა) შეაფასებთ, 2020 წლის 30 სექტემბრის დასრულებული ფინანსური წლისათვის, მნიშვნელოვან აუდიტორულ რისკებს, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული ჯგუფის აუდიტის დაგეგმვისას. ასევე, აუდიტის დაგეგმვის ეტაპზე, შეაფასებთ აუდიტორულ რისკებს, რომლებიც ეხება ჯგუფის დაგეგმილი რესტრუქტურისა და მისი შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას. (24 ქულა)

დავიწყით იმით, რომ კითხვა მოითხოვდა აუდიტორული რისკების შეფასებას, რაც იმას ნიშნავს, რომ კანდიდატი ქულას მიიღებდა როგორც არსებითი უზუსტობის რისკების, ასევე შეუმჩნეველობის რისკების იდენტიფიცირებისა და მათი გავლენის ახსნის შემთხვევაში. კანდიდატს სახელმძღვანელოდან უნდა ახსოვდეს, რომ აუდიტორული რისკი წარმოადგენს არსებითი უზუსტობის რისკისა და შეუმჩნეველობის რისკის ფუნქციას. თუმცა კანდიდატი ვერ მიიღებდა ქულას ბიზნეს რისკების იდენტიფიცირებასა და მათი გავლენის ახსნისთვის, ვინაიდან ამას შეკითხვა არ მოითხოვდა.

განმარტებები

იმისთვის, რომ გაგვიადვილდეს კითხვაზე პასუხის გაცემა, გავიხსენოთ თითოეული ამ ტერმინის განმარტება:

არსებითი უზუსტობის რისკი - რისკი იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება შეიცავდა არსებით უზუსტობას აუდიტის ჩატარებამდე (ასს გლოსარი).

შეუმჩნეველობის რისკი - რისკი იმისა, რომ აუდიტორის მიერ აუდიტორული რისკის მისაღებ დაბალ დონემდე შემცირების მიზნით ჩატარებული პროცედურები ვერ გამოავლენს არსებულ უზუსტობას, რომელიც შეიძლება არსებითი იყოს ცალკე აღებული ან სხვა უზუსტობებთან ერთად (ასს გლოსარი).

ბიზნესის რისკი - მნიშვნელოვანი პირობებით, მოვლენებით, გარემოებებით, ქმედებებით ან უმოქმედოობით განპირობებული რისკი, რომელსაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს სამეურნეო სუბიექტის უნარზე, მიაღწიოს დასახულ მიზნებს და განახორციელოს თავისი სტრატეგია, ან არასათანადო მიზნებისა და სტრატეგიის განსაზღვრით განპირობებული რისკი (ასს 315)

გასათვალისწინებელია, რომ გამოცდაზე განმარტებებისთვის ქულები იწერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოითხოვება კითხვაში.

შეფასების სქემა

გადავხედოთ აუდიტორული რისკის მოთხოვნების შეფასების სქემას:

თითოეული აუდიტორული რისკი ფასდება მაქსიმუმ 3 ქულით იმ შემთხვევაში თუ იდენტიფიცირებულია არსებითი უზუსტობის რიკი (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აუდიტორულ რისკში შეგვიძლია შევიყვანოთ ასევე შეუმჩნეველობის რისკიც) და ამ რისკთან მიმართებაში კანდიდატის მოსაზრება აკმაყოფილებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პირობას:

1. სცენარში მოყვანილი ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე დათვლილი არის არსებითობა და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნა. დასკვნაში უნდა იკვეთებოდეს უზუსტობის არსებითობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიმართ არის თუ მოგებისა და ბარალის ანგარიშგების მიმართ ან, ორივეს მიმართ ერთდროულად - 1 ქულა;
2. მოკლედ არის აღწერილი შესაბამისი ფინანსური აღრიცხვის პრინციპი (უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტის ნომრის მოყვანაში ქულა არ იწერება) - 0.5 ქულა;
3. ფინანსური აღრიცხვის პრინციპი დაკავშირებულია სცენარში მოყვანილ პრობლემასთან - 0.5 ქულა;

- ნათლად არის ჩამოყალიბებული ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა (ანუ უნდა ჩანდეს ფინანსური ანგარიშგების რომელი მუხლი იქნება შემცირებული / გაზრდილი უზუსტობის შედეგად, ან ფასს-ებით მოთხოვნილი მუხლი არ არის გამჟღავნებული განმარტებით შენიშვნებში) - 1 ქულა;

მნიშვნელოვანია ისიც, რომ არსებითობის გამოთვლისთვის შეფასება შეზღუდულია მაქსიმუმ 4 ქულამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ კანდიდატმა, ვთქვათ, ხუთი სხვადასხვა რისკის იდენტიფიცირებისას სწორად გამოთვალა და დააკომენტარა არსებითობა, ის შეფასდება მხოლოდ ოთხი ქულით მიუხედავად იმისა, რომ მეხუთე რისკისთვისაც გამოთვლაც და დასკვნაც სწორი იყო. შესაბამისად, მეხუთე და მომდევნო იდენტიფიცირებული მატერიალური უზუსტობის რისკები შეფასდება მხოლოდ 2 ქულით.

შეუმჩნევლობის რისკის (აუდიტორული რისკის მეორე სახე) მოყვანისთვის კანდიდატი შეფასდება მაქსიმუმ 2 ქულით: რისკის იდენტიფიცირებისა და აუდიტის დაგეგმვის ეტაპზე შესაბამისი გავლენის (და დაგეგმვის ეტაპზე აუდიტორის საპასუხო ქმედების) ჩამოყალიბებისთვის.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შეფასების სქემა ითვალისწინებს ასევე დამატებით 0.5 ქულას, იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორული რისკის იდენტიფიცირებას საფუძვლად უდევს სცენარში მოყვანილ ფინანსურ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაბამისი ტენდენციის გაანგარიშება.

სცენარი 2021-ის ივლისი

ამ სტატიის მიზნებისთვის ქვემოთ მოყვანილია სცენარიდან ამონარიდი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას „ა“ ნაწილის პასუხის გასაცემად.

დანართი 3 - მომზადებული ტექსტი კლიენტთან შეხვედრის შემდეგ

ჯგუფის რესტრუქტურისა

ჯგუფი ამონაგებისა და მომგებიანობის სტაბილური ზრდის სტრატეგიის საფუძველზე ახორციელებს რესტრუქტურისა. როგორც სტრატეგიის ნაწილი, ჯგუფი დებს \$48 მილიონ ინვესტიციას ახლად დაფუძნებული კომპანიის „პეპერსის“ აქციების 50%-ში. დარჩენილი კაპიტალის 50% ეკუთვნის კომპანია „სმიტს“, რომელიც არის უძრავი ქონების დეველოპერი. ამ საინვესტიციო ხელშეკრულების თანახმად, ჯგუფი და კომპანია „სმიტი“ ერთად იმუშავენ ექვსი ახალი სასტუმროს აშენებაზე, რომლებიც განლაგებული იქნებიან ქვეყნის მთავარ აეროპორტებთან. „პეპერსში“ ინვესტიციის ჩადება მოსალოდნელია 2020 წლის აგვისტოში.

ექსპერტის შენიშვნა 1: „პეპერსში“ წილის შეძენის ტრანზაქცია სრულდებოდა საანგარიშგებო წლის დასრულებამდე. სცენარის ავტორმა აღწერა საკმაოდ რთული ტრანზაქცია, რომელიც ფასს-11-ის ცოდნას მოითხოვდა. თუ კანდიდატი გაიხსენებდა ფასს-11-ს, შეამჩნევდა რომ საქმე ჰქონდა ერთობლივ საწარმოსთან (და არა ერთობლივ ოპერაციასთან ან შვილობილთან სადაც აღრიცხვის სხვა მეთოდები გამოიყენება) და მისი აღრიცხვისთვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო წილობრივი მეთოდი ბასს-28-ის შესაბამისად. დამატებით, შესაბამისი არსებითობის კომენტარის გაკეთების შემთხვევაში კანდიდატს ამ რისკის იდენტიფიცირებისთვის შეეძლო მაქსიმალური ქულების მიღება.

ერთის მხრივ, რესტრუქტურისაციისთვის საჭირო ფინანსებისთვის და მეორეს მხრივ, ამონაგების შემცირების გამო, ჯგუფი გეგმავს „პრაიმალ ბურგერის“ გაყიდვას. დირექტორთა საბჭომ გაყიდვის გადაწყვეტილება დაამტკიცა 2020 წლის მარტში. მყიდველების მიერ სპეციალური შემოწმება ჩატარებული იქნა კომპანია „უსამის“ მიერ, რომელიც არის ნაფიც სერთიფიცირებულ ბულალტერთა წევრი. კომპანია „უსამიმ“ განახორციელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების დამოუკიდებელი სპეციალური შემოწმება, რის საფუძველზეც წარმოადგინა ანგარიშგება გამოვლენილი ფაქტების შესახებ, რაც ხელმისაწვდომია პოტენციური მყიდველებისთვის. დღევანდელი მდგომარეობით, რამდენიმე პოტენციურმა მყიდველმა უკვე გამოიჩინა შესყიდვის ინტერესი და ჯგუფს აქვს მოლოდინი, რომ გაყიდვა განხორციელდება ფინანსური წლის დასრულების შემდეგ.

ექსპერტის შენიშვნა 2: სცენარის ავტორმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე რომ „პრაიმალ ბურგერის“ გაყიდვის გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, კომპანია შეფასებულია, რამდენიმე პოტენციური მყიდველიც იდენტიფიცირებულია და გაყიდვა მაღალი ალბათობით მოსალოდნელია. თუ კანდიდატი გაიხსენებდა ფასს-5-ს, შეამჩნევდა რომ დაკმაყოფილებული იყო გასაყიდად გამიზნულ აქტივებად აღრიცხვის პირობები. თუ არ არის აღრიცხული როგორც გასაყიდად გამიზნული, იკვეთება არსებითი უზუსტობის ორი სხვადასხვა რისკი: პირველი ის რომ შეიძლება ცვეთის დარიცხვა გრძელდება და ცვეთის ხარჯი გაზრდილია; და მეორეც, შესაძლოა აქტივებზე არ იყოს ჩატარებული გაუფასურების ტესტი და შესაბამისად, არ იყოს წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესით. დამატებით, შესაბამისი არსებითობის კომენტარის გაკეთების შემთხვევაში, კანდიდატს ამ რისკებიდან რომელიმეს იდენტიფიცირებისთვის შეეძლო ქულების მიღება.

ექსპერტის შენიშვნა 3: თუმცა „პრაიმალ ბურგერის“ გაყიდვასთან დაკავშირებული აუდიტორული რისკები ამით არ მთავრდება. შევხედოთ მოთხოვნის ფორმულირებას და ვნახავთ რომ მოითხოვებოდა აუდიტორულ რისკების შეფასება, რომლებიც ეხებოდა ჯგუფის დაგეგმილი რესტრუქტურისაციის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას. გავიხსენოთ ფასს-5 და ვნახავთ, რომ ეს არის შეწყვეტილი ოპერაცია და უნდა მოხდეს მისი გამჟღავნება ასევე განმარტებით შენიშვნებში, რაც ასევე ქულების მოპოვების შესაძლებლობა იყო.

ექსპერტის შენიშვნა 4: კიდევ მცირე ხნით შევჩერდეთ „პრაიმალ ბურგერის“ გაყიდვის ტრანზაქციაზე და დავაკვირდეთ, რომ კომპანიის გაყიდვის ერთერთი მიზეზი (გარდა რესტრუქტურისაციისთვის საჭირო ფინანსებისა) არის კომპანიის ცუდი შედეგები. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ მენეჯმენტის მიერ აღგილი ჰქონდეს შედეგების მანიპულირებას, რაც დაგეგმვის ეტაპზე აუდიტორის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

„ინსპაირალ ჰოტელის“ სავაჭრო ნიშნის წარმატების გამო, კომპანია გეგმავს გააფართოვოს სასტუმროების ბიზნესი, სამიზნე კომპანიის შესყიდვის გზით. ჯგუფი აპირებს შეისყიდოს კომპანია „ვალენტინი“, რომელიც წარმატებით ამუშავებს „ვალენტინ ჰოტელის“ სასტუმროების ქსელს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები და მოსალოდნელია, რომ შეძენა განხორციელდება მომდევნო ფინანსური წლის პირველ კვარტალში.

ზემოთ მოყვანილი ცხრილი ემყარება მენეჯმენტის ინფორმაციას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებშია წარმოდგენილი, როგორც სექტორების ანგარიშგების ნაწილი.

სხვა ჯგუფთან დაკავშირებული ინფორმაცია, იხილეთ ქვემოთ:

	2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით - პროგნოზი (\$ მლნ)	2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით - ფაქტიური ინფორმაცია (\$ მლნ)
საოპერაციო მოგება	76	72
მოგება დაბეგვრამდე	20	18
სულ აქტივები	475	450

დანართი 5 - შედგენილი ტექსტი აუდიტის კომიტეტთან სატელეფონო საუბრის შემდეგ

ჯგუფს ამჟამად ჰყავს სამი არააღმასრულებელი დირექტორი, რომლებიც ჯგუფის აუდიტის კომიტეტის წევრები არიან. 2020 წლის იანვრამდე, კომპანიაში იყო მეოთხე არააღმასრულებელი დირექტორი, რომელიც ასევე იყო ფინანსური ანგარიშგების ექსპერტი ჯგუფის აუდიტის კომიტეტში. ჯგუფი ამ პოზიციისთვის ეძებს კანდიდატს, მაგრამ შესაფერისი კანდიდატის მოძებნა ძნელია, ჯგუფმა კომპანია „სქუერის“ სთხოვა, რომ მისი უფროსი პარტნიორი გახდეს აუდიტის კომიტეტის წევრი, სანამ ჯგუფი ახლით ჩანაცვლებას შეძლებს.

ექსპერტის შენიშვნა 9: კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკა მოითხოვს აუდიტის კომიტეტში სულ მცირე ერთი ფინანსური ექსპერტის არსებობას. ამ საკითხის იდენტიფიცირებისა და განმარტებისათვის კანდიდატი ასევე მიიღებდა ქულებს.

შეჯამება

აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების უმაღლეს დონის გამოცდაზე ვრცელი პასუხის დაწერა გამსვლელი ქულების მოპოვების გარანტიას არ იძლევა. კანდიდატმა უნდა დახვეწოს გამოცდის ჩაბარების ტექნიკა და გაითვალისწინოს შემდეგი:

- კარგად გაიაზროს მოთხოვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ეკითხებიან, მაგალითად, არსებითი უზუსტობის რისკს, არ მოიყვანოს შეუმჩნეველობის რისკის, ან ბიზნესრისკის მაგალითები, რადგან ისეთი მოსაზრების მოყვანისთვის, რომელიც შესაძლოა მართებულია, მაგრამ შეკითხვა ამას არ მოითხოვდა, ქულა არ იწერება;
- არ მოიყვანოს „სპეკულაციური“ მოსაზრებები, ანუ მოსაზრებები, რომლებიც არ ეფუძნება სცენარში მოყვანილ სპეციფიურ ინფორმაციას - ამაში ქულა არ იწერება. სცენარში იმაზე მცირედით მეტი ინფორმაციაა მოყვანილი ვიდრე ეს მაქსიმალური ქულების მისაღებადაა საჭირო, შესაბამისად „სპეკულაციურ“ მოსაზრებების მოყვანა მხოლოდ დროის ფლანგვაა;
- და რაც ყველაზე მთავარია - აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების უმაღლესი დონის გამოცდის ჩაბარების ოქროს გასაღები არის ფასს-ების ცოდნა.

ქვემოთ მოცემულია ორი ნაშრომიდან პირველი ამოცანის „ა“ ნაწილის ამონარიდები, კანდიდატების თითოეული მოსაზრება შეფასებულია ექსპერტის მიერ.

პირველი კანდიდატის ნაშრომიდან ამონარიდი

გუდვილის გაუფასურება

რაიდერ ჯგუფში შედის სამი შვილობილი კომპანია, ჯგუფში აღიარებულია სავაჭრო ნიშნები არამატერიალურ აქტივებად. ტექსტში აღნიშნულია, რომ კომპანია „პრიმალ ბურგერმა“ განიცადა შემოსავლის შემცირება. აქედან გამომდინარე, შესაძლოა გაუფასურებული იყოს კომპანიის შეძენისას წარმოქმნილი გუდვილი.

ექსპერტის დასკვნა: „პრიმალ ბურგერის“ შემთხვევა სრულად აკმაყოფილებდა ფასს-5-ის გასაყიდად გამიზნულ აქტივებად აღრიცხვის პირობებს. შესაბამისად, უნდა ჩატარებულიყო გაუფასურების ტესტი და ყოფილიყო წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესით. კანდიდატს ან გამორჩა სცენარში ეს ინფორმაცია, ან ფასს-5-ის ცოდნა ვერ გამოავლინა. გუდვილის შესაძლო გაუფასურებაზე ტესტირება ამ შემთხვევაში ქულებს ვერ მოიპოვებს.

არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ჯგუფს აქვს ბასს 36-ის შესაბამისად აღიარებული სავაჭრო ნიშნები. ბასს 38-ის თანახმად აქტივების გაუფასურების ტესტი სასურველია ჩატარდეს ყოველი საანგარიშო პერიოდში. ცნობილია რომ „პრიმალ ბურგერის“ შემოსავლებმა განიცადა შემცირება. არსებობს რისკი რომ არამატერიალური აქტივები გაუფასურებულია. აღსანიშნავია რომ „პრიმალ ბურგერის“ ამონაგების წილი ჯგუფის ამონაგების 30% შეადგენს, ამიტომ იგი არსებითი კომპონენტია.

ექსპერტის დასკვნა: სტანდარტის ნომრების დაწერას გამომცდელი არ ითხოვს. მათი წერა მხოლოდ დროის კარგვას, ხოლო შეცდომით დაწერა კი არამართო დროის, არამედ ქულების დაკარგვას იმ შემთხვევაში, თუ აღრიცხვის პრინციპი სუსტად არის ახსნილი.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში მართალია სტანდარტის ნომრები შეცდომითაა, ქულების დაკარგვა ამას არ გამოუწვევია. ქულების დაკარგვა გამოიწვია იმ ფაქტმა რომ კანდიდატმა არასწორად დაასახელა მიზეზი თუ რატომ უნდა გადაფასდეს „პრიმალ ბურგერი“. არსებითობის კომენტარისთვის კანდიდატი აიღებს 1 ქულას.

პეპერსში განხორციელებული ინვესტიცია

ჯგუფმა საანგარიშგებო წელს განახორციელა ინვესტიცია 48\$ მილიონის ღირებულების. აღნიშნული დაბეგვრამდე მოგების საპროგნოზო მაჩვენებელ თითქმის 2.4 ჯერ აღემატება, ხოლო 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ფაქტიურს 2.6 ჯერ. ხოლო აქტივების საპროგნოზო მაჩვენებლის 10%-ს შეადგენს, 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ფაქტიური მაჩვენებლის 10.6%-ს. გამომდინარე აქედან ინვესტიცია არსებითია, როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისათვის ასევე მოგება ზარალისთვის, აღნიშნული განხორციელება 2020 წლის აგვისტოში. აუდიტორული რისკები არსებობს ინვესტიციების ბასს 28-ის შესაბამისად აისახა თუ არა. ტექსტში

აღნიშნულია, რომ ჯგუფი და კომპანია „სმიტი“ ერთად იმუშავებენ ექვსი ახალი სასტუმროს აშენებაზე. გამომდინარე აქედან ინვესტიცია უნდა აისახოს როგორც ერთობლივი საქმიანობა, ხოლო ჯგუფმა უნდა ასახოს მისი წილი შემოსავალი და ხარჯები ფინანსურ ანგარიშგებაში. აუდიტორული რისკი წარმოიშვება ინვესტიციის ასახვის საკითხის სისწორეში.

ექსპერტის დასკვნა: არსებითობის დათვლისთვის კანდიდატი 1 ქულას მიიღებს. თუმცა ამ შემთხვევაში კანდიდატმა ვერ გამოავლინა ფასს-11-ის ცოდნა. ამოცანის ამ ნაწილის მთელი არსი იმაში იყო, რომ კანდიდატს დაესახელებინა ფასს-11-ის მიხედვით ერთობლივი საქმიანობის რომელ სახესთან გვექონდა საქმე: ეს იყო „ერთობლივი საწარმო“ თუ „ერთობლივი ოპერაცია“. სწორად იდენტიფიცირებას კი უნდა მოჰყოლოდა შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვა. კანდიდატმა კი დაასახელა, რომ ეს იყო ერთობლივი საქმიანობა, რაშიც ბუნებრივია ქულები ვერ დაიწერებოდა. რაც შეეხება აღრიცხვას, სცენარიდან სჩანდა, რომ ინვესტიცია იყო „ერთობლივი საწარმო“ სადაც გამოყენებული უნდა იყოს წილობრივი აღრიცხვის მეთოდი და არა კომპანიის წილი შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა, როგორც ეს კანდიდატს ეწერა და რაც არის „ერთობლივი ოპერაციის“ შესაბამისი აღრიცხვა. შედეგად კანდიდატი არსებითობის გარდა სხვა ნაწილებში ვერ მიიღებდა ქულებს ვინაიდან ვერ გამოავლინა შესაბამისი აღრიცხვის წოდნა. მართალია კანდიდატმა სწორად დაასახელა ბასს-28, მან ამ სტანდარტისგან სრულიად განსხვავებული აღრიცხვა მოიყვანა და შესაბამისად მხოლოდ სტანდარტის ნომრის დასახელებაში ქულას ვერ მიიღებდა.

„პრიმალ ბურგერის“ გაყიდვა

„პრიმალ ბურგეგი“ აკმაყოფილებს ფასს 9 – „გასაყიდად გამიზნული აქტივების და შეწყვეტილი ოპერაციების“ – პირობებს, რადგან დირექტორთა საბჭომ 2020 წლის მარტში დაამტკიცა გაყიდვის გადაწყვეტილება, მიმდინარეობს მყიდველების აქტიური მოძიება, კომპანია ხელმისაწვდომია არსებულ მდგომარეობაში გასაყიდად, რაც დასტურდება იმით, რომ მყიდველებმა ჩაატარეს კომპანიის სპეციალური შემოწმება. დღევანდელი მდგომარეობით კი არსებობს რამდენიმე პოტენციური მყიდველი. გამომდინარე აქედან „პრიმალ ბურგეგი“ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს განცალკევებით როგორც გასაყიდად გამიზნული აქტივი. აუდიტორული რისკი არსებობს, რომ აღნიშნული სწორად არ იქნება გაკეთებული.

ექსპერტის დასკვნა: სტანდარტის ნომერი არასწორადაა მოყვანილი. თუმცა, ვინაიდან აღრიცხვის პრინციპი კარგადაა ახსნილი, კანდიდატი მიიღებს შეფასების სქემით გათვალისწინებულ ქულებს.

რესტრუქტურისაგან ანარიცხები

ბასს 37-ის თანახმად როდესაც ხორციელდება რესტრუქტურისაგან ანარიცხები მნიშვნელოვანია ანარიცხების შექმნა. ჯგუფში უკვე არსებობს რესტრუქტურისაგან გეგმა და დაწყებულია მისი განხორციელება აუდიტორული რისკი არსებობს, რომ ანარიცხები სწორად არ იქნება ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

ექსპერტის დასკვნა: ბასს-37 იძლევა რესტრუქტურის ანარიცხის შექმნის უფლებას მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოიქმნება რესტრუქტურის კონსტრუქციული ვალდებულება, რისთვისაც განსაზღვრულია მკაცრი კრიტერიუმები. მსგავსი მინიშნება სცენარში არ ყოფილა, შესაბამისად ეს მოსაზრება არ ფასდება.

„ინსპირალ ჰოტელის“ გაფართოება

ჯგუფი აპირებს შეიძინოს კომპანია „ვალენტინი“. კომპანიის წმინდა აქტივები ჯგუფის საპროგნოზო მთლიანი აქტივების 17.8%, ხოლო 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ფაქტიური სულ აქტივების 18.8%, გამომდინარე აქედან იგი არსებითაა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობისათვის. შეძენა დაგეგმილია მომდევნო ფინანსური წლის პირველ კვარტალში ანუ იგი წარმოადგენს შემდგომ მოვლენას. ასს 560-ის თანახმად შემდგომი მოვლენები შეიძლება იყოს მაკორექტირებელი ან არამაკორექტირებელი. ვინაიდან შეძენა გამხორციელდება მომდევნო ფინანსურ წელს ეს შეიძლება მივიჩნიოთ როგორც არამაკორექტირებელი მოვლენა.

ექსპერტის დასკვნა: კანდიდატი მიიღებს არსებითობისთვის 1 ქულას და არამაკორექტირებელ მოვლენისთვის 1 ქულას (მიუხედავად იმისა რომ მოხსენებული სტანდარტი აქ უადგილო იყო). თუმცა ვერ მიიღებს რისკისთვის ქულას, იმ მიზეზით, რომ რისკი საერთოდ არ ეწერა.

კაპიტალური დანახარჯები

კაპიტალური დანახარჯები ჯგუფის საპროგნოზო სულ აქტივების 9% შეადგენს, ხოლო ფაქტიურის (2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით) 9.5% გამომდინარე აქედან იგი არსებითი ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობისათვის. აუდიტორული რისკი არსებობს კაპიტალური დანახარჯების შედარებაში, რამდენად არის ეს დანახარჯები კაპიტალური, ასევე მნიშვნელოვან რისკს შეიცავს ცვეთის პერიოდის განსაზღვრა, რომელიც არის განსჯის შედეგად აღებული.

ექსპერტის დასკვნა: კანდიდატი მიიღებს არსებითობისთვის 1 ქულას, თუმცა სხვა ქულებს კანდიდატი ვერ მიიღებს, ვინაიდან პასუხი იყო ზოგადი, მაშინ, როცა სცენარში ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცელი ინფორმაცია იყო მოყვანილი. ასევე, ამ პრობლემას კანდიდატი მომდევნო მოსაზრებაშიც ეხება (იხ. ქვემოთ).

სამწლიანი ლიცენზია

ჯგუფმა აიღო ლიცენზია, რომელიც პროგნოზირებული სულ აქტივების 3.1% შეადგენს, ხოლო ფაქტიურის 3.3%. აღნიშნული არსებითია. ტექსტში აღნიშნულია, რომ ლიცენზია შედის კაპიტალური დანახარჯების გაანგარიშებაში და ცვეთის დარიცხვა მოხდება 20 წლიან პერიოდზე. აუდიტორული რისკია, რომ აღნიშნული არასწორადაა გაკეთებული ბასს 36-ის თანახმად „არამატერიალური აქტივები“ – ლიცენზია წარმოადგენს არამატერიალურ აქტივს და მისი ამორტიზება უნდა მოხდეს გამოყენების პერიოდის მიხედვით ანუ 3 წლის განმავლობაში, გამომდინარე აქედან არსებობს რისკი, რომ არამატერიალური აქტივის ცვეთის ხარჯი შემცირებულად იქნება წარმოდგენილი მოგება-ზარალის ანგარიშში, რაც გამოიწვევს მოგების გაზრდას.

ექსპერტის დასკვნა: არსებითობისთვის განკუთვნილი 4 ქულა კანდიდატმა ამოწურა წინა მოსაზრებებში შესაბამისად, აქ ქულებს ვერ მიიღებს. დანარჩენ ქულებს კანდიდატი მიიღებს იმის მიუხედავად, რომ სტანდარტის ნომერი არასწორადაა მითითებული.

სახელმწიფო გრანტი

სახელმწიფო გრანტი უკავშირდება უძრავ ქონებას. ბასს 20-ის თანახმად უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტი შეიძლება აისახოს, როგორც ამ უძრავი ქონების ღირებულების შემადგენელი ნაწილი და გამოყენების პერიოდის მიხედვით დაერიცხოს ცვეთა, ან გამოაკლდეს უძრავი ქონების თვითღირებულებას აისახოს ცალკე და გამოყენების პერიოდის მიხედვით აისახოს ცვეთის ხარჯი. აუდიტორული რისკი არსებობს, რომ გრანტი არასწორად იქნება ასახული, ასევე რისკი მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად დააკმაყოფილებს პირობებს. ტექსტში აღნიშნულია რომ მთავრობა გრანტებს გამოყოფს უძრავ ქონებაში ინვესტირების ვალდებულებით, რათა შეამცირონ ნახშირორჟანგის გამოყოფა და ელექტროენერჯის მოხმარება. „რაიდერ“ აპირებს რომ 20\$ მილიონით გაწიოს კაპიტალური დანახარჯი ჯგუფის ქონებაზე, ხოლო დანარჩენით დააფინანსოს სარეკლამო კამპანია. აღნიშნული შეიცავს რისკს, რომ გრანტი არამიზნობრივად იქნება გამოყენებული, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი ნაწილი დაბრუნება, რაც გაზრდის დანახარჯს და შეამცირებს მოგებას.

ექსპერტის დასკვნა: მოსაზრება სრულყოფილადაა ჩამოყალიბებული და კანდიდატი მიიღებს შეფასების სქემით გათვალისწინებულ სრულ ქულებს, გარდა არსებითობისა, რაც არც ეწერა, თუმცა, სწორადაც რომ დაეწერა, მაინც ვერ შეფასდებოდა ვინაიდან განკუთვნილი ქულები ამოწურული ჰქონდა.

მეორე კანდიდატის ნაშრომიდან ამონარიდი

ა) ჯგუფის რესტრუქტურზაცია

48-მილიონიანი ინვესტიციასთან დაკავშირებული აუდიტორული რისკია ის რომ ის შეიძლება არასწორად იყოს ასახული ფინანსური ანგარიშგებაში. ვინაიდან როგორც დანართიდან ირკვევა ხელშეკრულების თანახმად ჯგუფი კომპანია „სმიტსთან“ ერთად იმუშავებს ახალი სასტუმროების აშენებაზე და ისინი ერთად ხელშეკრულების ფარგლებში ერთად გააკონტროლებენ კომპანია „პერპერ“ ამგვარად ეს არის მაკონტროლებელი წილი რომელიც უნდა აისახოს კაპიტალის მუხლში. ასევე უნდა გაიხსნას ინფორმაცია განმარტებით შენიშვნებში.

ექსპერტის დასკვნა: არ არის გამოთვლილი არსებითობა, შესაბამისად არსებითობისთვის ქულა ვერ დაიწერება. ბუღალტრული აღრიცხვა ურთიერთგამომრიცხავად წერია, ვინაიდან თუ მაკონტროლებელი წილი აქვს მაშინ კონსოლიდაცია უნდა მოხდეს. კანდიდატს არ გაუკეთებია მითითება ერთობლივ საწარმოზე, რაც აქ ქულის დაწერის შესაძლებლობას მისცემდა შემფასებელს. რაც შეეხება რისკს, კანდიდატის მიერ დაწერილი ფრაზა „შეიძლება არასწორად იყოს ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში“, არის ზოგადი და ქულა ვერ დაიწერება. უნდა იყოს კონკრეტულად დაწერილი ანგარიშგების რომელიმე მუხლი, რომელიც იქნება შემცირებული ან გაზრდილი.

„პრიმა ბურგერის“ გაყიდვა

„პრიმა ბურგერის“ აქტივები არსებითია ჯგუფის აქტივებთან მიმართებით და დირექტორთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გაყიდვის 2020 მარტში. შესაბამისად „პრიმა ბურგერის“ აქტივები უნდა მოხსნილიყო ძირითადი საშუალებიდან და დაკლასიფიცირებულიყო გასაყიდად გამიზნული აქტივად. ფინანსურ ანგარიშგებაში არის რისკი იმისა რომ ჯგუფის აქტივები გაზრდილია.

ექსპერტის დასკვნა: კომპანიის სახელის დამახინჯებისთვის კანდიდატი ქულებს არ დაკარგავს თუ კომპანიის იდენტიფიცირება შესაძლებელია. კანდიდატი მიიღებს არსებითობისთვის და აღრიცხვისთვის განკუთვნილ ქულებს. თუმცა, ვერ მიიღებს რისკის იდენტიფიცირებისთვის განკუთვნილ ქულას, ვინაიდან კომპანია უნდა კლასიფიცირდეს გასაყიდად გამიზნულად არა იმიტომ რომ გადაწყვეტილება მიიღეს მარტში, არამედ იმიტომ, რომ სტანდარტით მოთხოვნილი ყველა პირობა იყო დაკმაყოფილებული, რაც სცენარში გარკვევით ეწერა.

„ინსპაირალ ჰოტელის“ შესყიდვა

ამ შესყიდვასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები და მოსალოდნელია შექმნა ოლონდის განხორციელება მომდევნო ფინანსური წლის პირველ კვარტალში და შესყიდვის ფასი ცნობილია სპეციალური შემოწმების საფუძველზე. უნდა გაიხსნას ანარიცხი, რომელიც სავარაუდოდ არ იქნება გახსნილი მიმდინარე ფინანსური ანგარიშგებაში და ასევე გაიხსნას ინფორმაცია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ეს არის რისკი იმისი რომ შემცირებული იქნება ვალდებულებები.

ექსპერტის დასკვნა: კანდიდატის მოსაზრება ეწინააღმდეგება ფასს-ებს. მომავალში გამიზნული კომპანიის ყიდვასთან დაკავშირებით ანარიცხის გაკეთება დაუშვებელია. გარდა ამისა, კანდიდატის მოსაზრება სცენარს ეწინააღმდეგება: „ინსპაირალ ჰოტელის“ ჯგუფის შემადგენლობაში უკვე შედის და მისი შესყიდვა არ/ვერ იგეგმება.

„მანდეიკოფი“

\$43-მილიონი კაპიტალური დანახარჯი არსებითია „მანდეიკოფი“ აქტივებთან მიმართებით ასევე ჯგუფის აქტივებთან მიმართებით

$$\frac{\$43}{\$200} \times 100\% \approx 22\% \qquad \frac{\$43}{\$475} \times 100\% \approx 6\%$$

ამდენად არის რისკი რომ ეს ხარჯი შეიძლება არასწორად იყოს კლასიფიცირებული როგორც კაპიტალური დანახარჯი და ჯგუფის პროგნოზირებული მოგება დაბეგვრამდე იქცეს ზარალად.

ექსპერტის დასკვნა: კანდიდატი მიიღებს 1 ქულას არსებითობის გამოთვლისთვის. დანარჩენი კი არ წერია გასაგებად. სცენარში დეტალურად იყო ჩამოთვლილი ამ \$43 მილიონიდან რამდენი იყო კაპიტალური დანახარჯი და რამდენი ლიცენზიის მოსაკრებელი. შესაბამისად შემფასებლისთვის რთული მისახვედრია თუ რას გულისხმობდა კანდიდატი.

სახელმწიფო გრანტი

მთავრობა გრანტებს გამოჰყოფს კომპანიებისთვის რომლებიც ხელს უწყობენ მომხმარებლებს მოახდინონ ნარჩენების ხელახალი გადამუშავება.

„რაიდერმა“ გრანტი მიიღო 2020 წლის იანვარში, ე. ი. მიმდინარე ფინანსურ წელს და ერთადერთი პირობა რომელიც თან ახლდა გრანტს, იყო რომ ნახევარი უნდა დაიხარჯოს არსებული აქტივების განახლებაზე, რათა ისინი გარემოსთვის ნაკლებად მავნებელი გახდეს. ჯერ მიღებული თანხა არ ათვისებულა. აქედან იკვეთება რისკი იმისა რომ პირველი ეს გრანტი არასწორად დაკლასიფიცირებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

ექსპერტის დასკვნა: არსებითობა არ არის დათვლილი, რისკი იდენტიფიცირებული არაა და გავლენაც ზოგადად წერია. კერძოდ, ზოგადია ფრაზა: „არასაწორად დაკლასიფიცირებული ფინანსურ ანგარიშგებაში“. შესაბამისად კანდიდატის ეს მოსაზრება ქულას ვერ მოიპოვებს.

მოდით კანდიდატის ამ მოსაზრებას სხვა კუთხითაც შევხედოთ: მოსაზრება შედგება ოთხი წინადადებისაგან, აქედან სამი წინადადება სცენარში მოყვანილი ინფორმაციაა, მეოთხე კი – ზოგადი. კანდიდატებმა უნდა იცოდნენ რომ უმაღლესი საფეხურის გამოცდებზე მსგავსად ჩამოყალიბებულ მოსაზრებებში ქულებს ვერ მოიპოვებენ.

ნაგებიანი საიჯარო ხელშეკრულებები და გაუფასურება, ასევე ინვესტირებათა დაკავშირებული საკითხები

მოდული „სანარმოს სტრატეგიული ანგარიშგება“

ამ სტატიის მიზანია ჯერ განვიხილოთ წაგებიანი საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხს და მათ გაუფასურებას, ხოლო შემდეგ განვიხილოთ საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის საგამოცდო კითხვებზე პასუხის გაცემის ორი ტიპის მიდგომა:

- (i) ინვესტირების საკითხები საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის საგამოცდო კითხვებში; და
- (ii) თეორიული ცოდნის გამოყენება საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის საგამოცდო კითხვების სცენარებში.

კონკრეტულად, ამ საკითხის საილუსტრაციოდ გამოვიყენებთ მე-3 კითხვას 2020 წლის მარტის გამოცდიდან.

წაგებიანი საიჯარო ხელშეკრულებები და გაუფასურება

ფასს 16-მა – „იჯარა“ – მნიშვნელოვნად შეცვალა იჯარის აღრიცხვის მიდგომა. ამ ცვლილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მოიჯარებმა საოპერაციო იჯარა ახლა უნდა აღიარონ, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. სხვა აქტივების მსგავსად, შესაძლებელია აქტივის გამოყენების უფლება შესამოწმებელი იყოს გაუფასურებაზე. ვინაიდან, აქტივის გამოყენების უფლება არაფინანსური აქტივია, მის მიმართ გამოიყენება ბასს 36-ის მოთხოვნები. თუმცა, უნდა გავიხსენოთ, რომ ბასს 36-ის გაუფასურების მოდელში ორი გამონაკლისი არსებობს.

პირველ რიგში, როდესაც მოიჯარე საინვესტიციო ქონებისთვის სამართლიანი ღირებულების მოდელს იყენებს ბასს 40-ის შესაბამისად, ის სამართლიანი ღირებულების მოდელს აქტივის გამოყენების უფლებისთვისაც იყენებს. მეორე, თუ აქტივის გამოყენების უფლება ეხება ძირითადი საშუალებების რომელიმე კლასს, რომლისთვისაც მოიჯარე გადაფასების მოდელს იყენებს, მაშინ მოიჯარეს შეუძლია, აირჩიოს გადაფასების მოდელი ყველა აქტივის გამოყენების უფლებისთვის, რომელიც ძირითადი საშუალებების ამ კლასს ეხება.

ბასს 36-ის შესაბამისად, აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურებაზე შემოწმდება დამოუკიდებლად/ინდივიდუალურად, თუ იგი არ წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ნაწილს. თუ აქტივის გამოყენების უფლება შემოწმდება გაუფასურებაზე, როგორც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ნაწილი, მაშინ ის უნდა აისახოს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულებაში. ბასს 36 საწარმოს ავალდებულებს, რომ განიხილოს საკითხი იმის შესახებ, მოეთხოვება თუ არა მყიდველს რაიმე ვალდებულების აღება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს მოიჯარის საიჯარო ვალდებულებასაც. ასეთ შემთხვევაში, საიჯარო ვალდებულება უნდა აისახოს, როგორც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებაში, ასევე ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულებაშიც.

თუ წაგებიანი ხელშეკრულებებია განსახილველი, უნდა გვახსოვდეს, რომ წაგებიანი ხელშეკრულებები ბასს 37-ით – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ – რეგულირდება და ეს ფასს სტანდარტი გამოიყენება ნებისმიერი ხელშეკრულების მიმართ, რომლისთვისაც სახელშეკრულებო ვალდებულებების შეს-

რულებისთვის საჭირო გარდაუვალი დანახარჯები აღემატება იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის მიღებაც მოსალოდნელია ამ ხელშეკრულებიდან. თუმცა, ჩვენი აზრით, კანდიდატებისთვის საინტერესო იქნება, თუ განვიხილავთ, შესაძლებელია თუ არა ბასს 37-ისა და ფასს 16-ის თანაარსებობა.

ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (საბჭომ) გადაწყვიტა, ფასს 16-ში წაგებიანი ხელშეკრულებებისთვის რაიმე კონკრეტული მოთხოვნები არ გაეთვალისწინებინა. საბჭოს ამგვარი გადაწყვეტილება განპირობებულია რამდენიმე მიზეზით:

- (ა) იჯარისთვის, რომელიც უკვე დაწყებულია, არანაირი მოთხოვნა არ არის საჭირო. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საწარმოს შეუძლია სათანადოდ ასახოს წაგებიანი იჯარის ხელშეკრულება, ფასს 16-ის მოთხოვნების გამოყენებით. მოიჯარე აქტივების გამოყენების უფლებების ნებისმიერ გაუფასურებას განსაზღვრავს და აღიარებს ბასს 36-ის – „აქტივების გაუფასურება“ – მოთხოვნების შესაბამისად;
- (ბ) იჯარისთვის, რომელიც ჯერ არ დაწყებულია, სავსებით საკმარისია ბასს 37-ის – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ – მოთხოვნები, რომლებიც წაგებიან ხელშეკრულებებს ეხება. ბასს 37-ის მოთხოვნები ვრცელდება ნებისმიერ ხელშეკრულებაზე (და, მაშასადამე, ნებისმიერ საიჯარო ხელშეკრულებაზეც), რომელიც აკმაყოფილებს ამ სტანდარტის წაგებიანი ხელშეკრულების განმარტებას.

კითხვა იხადება ასევე იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოიქცეს საწარმო წაგებიან ხელშეკრულებებთან მიმართებით ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენებისას. კომპანიას შეუძლია:

- ბასს 36 გამოიყენოს აქტივების გამოყენების უფლებასთან მიმართებით; ან
- არ გამოიყენოს ბასს 36 ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის, არამედ დაეყრდნოს თავის შეფასებას იმის შესახებ, არის თუ არა მისი რომელიმე იჯარა წაგებიანი, ბასს 37-ის მიხედვით. შედეგად, შეწყდება ნებისმიერი წაგებიანი იჯარის ანარიცხის აღიარება და ამ ანარიცხის ტოლი თანხა გამოაკლდება შესაბამისი აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულებას.

ამ არჩევანის უფლების გამოყენება შესაძლებელია ინდივიდუალურადაც, ანუ ცალკეული იჯარის საფუძველზე.

ამრიგად, კანდიდატებმა, პასუხის გაცემამდე ყურადღებით უნდა წაიკითხონ კითხვა, რათა დაადგინონ, წაგებიანი საიჯარო ხელშეკრულებისთვის ბასს 36 უნდა იყოს გამოყენებული თუ ბასს 37. თუ გამომცდელების გუნდს სურს, რომ კანდიდატებმა საკითხი განიხილონ კონკრეტული ფასს სტანდარტის მიხედვით (ანუ ბასს 37-ის, ან ფასს 16-ის მიხედვით), მაშინ ეს სტანდარტი კონკრეტულად იქნება მითითებული კითხვის მოთხოვნაში. თუმცა, კანდიდატებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ ქულები მიენიჭებათ ნებისმიერი რაციონალური და ლოგიკური მსჯელობისთვის/განხილვისთვის, თუნდაც ეს მიდგომა გათვალისწინებული არ იყოს ამოცანის სანიმუშო ამოხსნაში.

ინვესტორებთან დაკავშირებული საკითხები საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის სასწავლო პროგრამაში

საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის ყოველი გამოცდა მოიცავს კითხვას, რომლითაც გამომცდელი ამოწმებს ინვესტორის თვალთახედვას/პოზიციას. მიუხედავად იმისა, რომ კითხვის ბუნება განსხვავებული იქნება, ის ჩვეულებრივ ითვალისწინებს 2 ქულას პროფესიონალიზმისთვის. კითხვაში შეიძლება კანდიდატებისგან ითხოვდნენ

კომენტარების გაკეთებას ინვესტორებისა და მათი საჭიროებებისთვის გარკვეული ტიპის ინფორმაციის სარგებლიანობის შესახებ. კონკრეტულ ფასს სტანდარტის შესახებ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას კანდიდატებმა უნდა გამოიყენონ საკუთარი ცოდნა ამ ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის შესახებ, რათა განიხილონ, თუ როგორ შეიძლება ამან გავლენა იქონიოს ინვესტორების საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე. მაგალითად, შეიძლება საჭირო გახდეს ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენები გადავადებული გადასახადის ნაშთების ნათლად ახსნა და მათი ამოწურვის მოსალოდნელი დროის ანალიზი, რათა ინვესტორებმა დაინახონ დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შეიძლება ამოიწუროს ბარალის შედეგად წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივები.

როგორც წესი, ინვესტორებისთვის სასარგებლო იქნება სათანადო/საჭირო ინფორმაციის გამჟღავნების პრინციპები. ამგვარად, კანდიდატებს ამ პრინციპების გამოყენება შეუძლიათ ამოსავალი ჩარჩოს/საფუძვლების სახით ზოგად კითხვებზე პასუხის გასაცემად, რომლებიც ეხება ინვესტორის თვალთახედვას/პოზიციას.

საბჭომ ინვესტორებისგან მიიღო გამოხმაურება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ინვესტორებს აწუხებთ არაეფექტური კომუნიკაცია. კერძოდ, ისინი ხაზს უსვამენ საწარმოთა მიერ არსებობის კონცეფციისა და კრიტერიუმების სათანადოდ გამოყენების მნიშვნელობას, როდესაც გადაწყვეტილებას იღებენ იმის თაობაზე, კონკრეტულად, რომელი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნონ და რომელი იქნება ყველაზე უკეთესი გზა ამ ინფორმაციის მისაწოდებლად ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის;
- ინვესტორები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ შესადარისობას და კონკრეტულად საწარმოსთვის დამახასიათებელ ინფორმაციას, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ეს ორი პრინციპი შესაძლოა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიოდეს;
- ბევრ ინვესტორს მიაჩნია, რომ, გარკვეულ გარემოებებში, შეიძლება სასარგებლო იყოს ფასს სტანდარტების შესაბამისი ინფორმაციის ჩართვა ფინანსური ანგარიშგების გარეთ სხვა დოკუმენტებში, მაგრამ, მეორე მხრივ, გარკვეულად აშინებთ ამ ინფორმაციის სათანადოდ ინტეგრირაციის, მისი საიმედოობისა და მუდმივი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა;
- ბევრი ინვესტორი თანხმდება, რომ საბჭომ არ უნდა აკრძალოს ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი ინფორმაციის ჩართვა, რომელიც მომზადებული არ არის ფასს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, ინვესტორები აცნობიერებენ იმ რისკს, რომ საწარმოებმა შეიძლება ისეთი ინფორმაცია გაამჟღავნონ, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეცდომაში შეიყვანს ან ამგვარმა ინფორმაციამ შეიძლება დაჩრდილოს/ბუნდოვანი გახადოს ფასს სტანდარტების შესაბამისი ინფორმაცია;
- ინვესტორების აზრით, საბჭომ უნდა დაავალდებულოს საწარმოები, რომ ნათლად მიუთითონ, დაასათაურონ, ახსნან და შეაჯერონ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მომზადებული არ არის ფასს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
- ბევრ ინვესტორს მიაჩნია, რომ საბჭომ უნდა განმარტოს საწარმოთა საქმიანობის შედეგების ამსახველი/ეფექტიანობის მაჩვენებლები. ბევრმა ინვესტორმა საბჭოს მოუწოდა, რომ განემარტა ერთი ან რამდენიმე შემდეგი მაჩვენებელი: EBIT, EBITDA და საწარმოთა საქმიანობის შედეგების სხვა საზომები, როგორცაა, მაგალითად, საოპერაციო მოგება;

- ინვესტორების უმეტესობა მხარს უჭერს წინადადებას იმის თაობაზე, რომ საბჭომ უნდა შეიმუშაოს უჩვეულო ან იშვიათად წარმოქმნილი „მუხლების“ განმარტებები და მათი წარდგენის მოთხოვნები. ინვესტორები ფიქრობენ, რომ ამით თავიდან ავიცილებთ ამ ტერმინების არასწორ ინტერპრეტაციას და არაერთგვაროვან გამოყენებას;
- ინვესტორები ფიქრობენ, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გამჟღავნებული ისეთი ინფორმაცია იქნება სასარგებლო, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების არსებით მუხლებთან, საწარმოს არსებით ოპერაციებთან ან მოვლენებთან, ან მომხმარებლებს შესაძლებლობას მისცემს, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმის თაობაზე, როგორ იმსჯელა საწარმომ სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და გამოყენებისას და რის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილებები.

გემოლნიშნული პრინციპების გამოყენება შესაძლებელია, როდესაც საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდაზე გამსვლელი კანდიდატები პასუხობენ ინვესტორთან დაკავშირებულ რამდენიმე ტიპის კითხვას, მაგრამ უნდა ახსოვდეთ, რომ ქულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ ამ პრინციპებს დაუკავშირებენ კითხვაში აღწერილ კონკრეტულ სცენარს.

საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის თეორიული ცოდნის გამოყენება კითხვებში აღწერილ სცენართან მიმართებით

ამ საკითხის დეტალურად განხილვა მნიშვნელოვანია. საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდის ერთერთი მოთხოვნაა, კანდიდატებმა კითხვებს უპასუხონ სახელმძღვანელოში ნასწავლი ცოდნის გამოყენებით კითხვაში აღწერილ სცენართან მიმართებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდაზე კანდიდატები ხშირად ვერ იღებენ მნიშვნელოვან ქულებს იმის გამო, მათი პასუხები სცენარს არ უკავშირდება.

კითხვის მოთხოვნაში გამოყენებული ზმნა და მასზე მინიჭებული ქულების რაოდენობა კანდიდატს წარმოდგენას უქმნის პასუხის დეტალიზაციის საჭირო ხასიათისა და ხარისხის შესახებ. წმინდა დისკურსიული, უთავბოლო პასუხისთვის კანდიდატი დაკარგავს ქულებს, თუ გამოთვლების ჩატარება იქნება საჭირო და კანდიდატის მიერ შემოთავაზებული გამოთვლები კითხვაში არ მოითხოვება. ამ დონის გამოცდაზე ქულების მისაღებად საკმარისი არ არის სცენარიდან ან ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტიდან აღებული ფაქტების უბრალოდ გამეორება, ყოველგვარი შემდგომი ახსნის გარეშე. ამის მიზეზი ისაა, რომ შემფასებლები კანდიდატების პასუხებში ეძებენ ჩატარებული ანალიზისა და პროფესიული განსჯის მტკიცებულებებს.

წინა წლების გამოცდებიდან მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, გამომცდელებმა იციან, რომ ზოგიერთი კანდიდატი გამოცდაზე დროს ფუჭად კარგავს, არ გააჩნია დროის სწორად მართვის უნარი. ხშირად, ეს კანდიდატები არ ცდილობენ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას, რის შედეგადაც კარგავენ შედარებით მარტივ ქულებს, განსაკუთრებით, მე-4 კითხვის ბოლო ნაწილებში. ზოგიერთი კანდიდატი არაპროპორციულ დროს უთმობს 1-ელ კითხვაზე პასუხის გაცემას, რის გამოც ცოტა დრო რჩებათ მე-4 კითხვაზე პასუხის გასაცემად. აუცილებელია, რომ გამოცდაზე კანდიდატებმა ბალანსი დაიცვან თითოეულ კითხვაზე პასუხის გაცემისას, სწორად გადაანაწილონ მიცემული დრო და გაიცნობიერონ, რომ ნებისმიერ კითხვაზე ძალიან ბევრი დროის დახარჯვა გავლენას მოახდენს საერთო შედეგზე.

თუ კანდიდატებს დაავიწყდებათ ბულალტრული აღრიცხვის კონკრეტული სტანდარტის პრინციპები, კარგი სტრატეგიაა, მიმართონ კონცეპტუალურ საფუძვლებს. თუ კანდიდატები გრძნობენ, რომ ვერ უპასუხებენ კითხვის რომელიმე ნაწილს, მაშინ კონცეპტუალური საფუძვლების პრინციპების სწორად გამოყენების შედეგად, კანდიდატი ყოველთვის მოიპოვებს გარკვეულ ქულებს. კანდიდატი ასე უნდა მოიქცეს მაშინაც კი, თუ კონცეპტუალური საფუძვლები შემოთავაზებულ სანიმუშო ამოხსნაში ნახსენები არ არის. კანდიდატებს ვურჩევთ, სტრუქტურირებულად და ლოგიკურად წარმოადგინონ თავიანთი პასუხი ისე, რომ გააადვილონ შეფასების პროცესი. ამიტომ მიზანშეწონილი არ არის პასუხის მრავალი ნაწილის ერთ ნაწილად გაერთიანება.

საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის სასწავლო პროგრამა და, მაშასადამე, საგამოცდო მასალაც შეგნებულად მოიცავს რთულ და თანამედროვე კითხვების სცენარებს. კანდიდატებს ქულები მიეკუთვნებათ იმ საკითხების განხილვისთვისაც, რომელიც არ ჩანს შემოთავაზებულ სანიმუშო ამოხსნაში, მაგრამ სცენარს შეესაბამება. გარდა ამისა, კანდიდატმა შესაძლოა დამატებითი ქულაც მოიპოვოს თუ განსაკუთრებით კარგად განიხილავს საკითხს.

ამგვარი მიდგომის კარგი მაგალითია 2020 წლის 3 მარტის მე-3 საგამოცდო კითხვა, რომელსაც აქვე გაგაცნობთ.

კითხვა კანდიდატებისგან მოითხოვდა იმის განხილვას, თუ როგორ უნდა აღერიცხათ საქმიანობის პირობებზე/შედეგზე დაფუძნებული პირობითი მოვლენები, როდესაც ცალკეულ ფეხბურთელებს პირადი და გუნდის საერთო შედეგების მიხედვით უხდიან პრემიას, რაც წარმოადგენს დამატებით სახელშეკრულებო დანახარჯს.

კანდიდატებს უნდა შეეძლოთ იმაზე მსჯელობა, თუ როდის უნდა აღიარდეს პრემიები. ამჟამად არ არსებობს კონკრეტული ფას სტანდარტი, რომელიც ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს გაგვცემს. ამიტომ კანდიდატებს მოეთხოვებოდათ ბულალტრული აღრიცხვის პრინციპების გამოყენება. ასეთია გავრცელებული პრაქტიკული მიდგომა, რომელსაც საწარმოები იყენებენ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება საქმიანობის პირობებზე/შედეგზე დაფუძნებული პირობითი მოვლენების აღრიცხვას.

მაშ, როგორ უნდა უპასუხოთ საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდაზე კანდიდატებმა ამ კითხვას?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის რამდენიმე გზა არსებობს: კანდიდატებს შეუძლიათ მიმართონ კონცეპტუალურ საფუძვლებს ან სხვა არსებულ ბულალტრული აღრიცხვის სტანდარტებს. მაგალითად, კანდიდატებს შეუძლიათ დასახმარებლად გამოიყენონ კონცეპტუალურ საფუძვლებში მოცემული ვალდებულების განმარტება: „ვალდებულება არის საწარმოს ეკონომიკური რესურსების გადაცემის მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიშვა წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად.“ ასე რომ, საწარმოს უნდა ჰქონდეს მოვალეობა, როდესაც ფეხბურთელის ხელშეკრულებას ხელს აწერს, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს საქმიანობის „საკონტროლო“ პირობების სავარაუდო შედეგი, რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე ვალდებულება.

მეორე, საჭიროა, რომ არსებობდეს ეკონომიკური რესურსის გადაცემის მოვალეობა. ამ შემთხვევაში, გადაცემული ეკონომიკური რესურსი იქნება ფულადი თანხა.

მესამე, ვალდებულება უნდა იყოს მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა/არსებობს წარსული მოვლენის შედეგად. ამრიგად, ნებისმიერი პირობითი თანხები აღიარდება მხოლოდ იმ თარიღიდან, როდესაც ხელმძღვანელობა დარწმუნდება, რომ საქმიანობის პირობები შესრულდება. ამ თარიღამდე ვალდებულება არ იარსებებს,

საჯარო სექტორის მართვა

მოდული – „სტრატეგიული ბიზნესლიდერი“

ეს თემა „საჯარო სექტორის მართვა“ განხილულია სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდულის სასწავლო პროგრამის ბნ განყოფილებაში. ჩვენი სტატიის მიზანია, გავცნოთ ამ თემას და კანდიდატებს მივცეთ რამდენიმე მითითება იმის შესახებ, რომელი საკითხებია მნიშვნელოვანი სწავლებისა და სწავლის თვალსაზრისით და, მამასადამე, გამოცდაზე წარმატების მისაღწევად.

- სტატია დაყოფილია შემდეგ ნაწილებად:
- შესავალი;
- რას წარმოადგენს „საჯარო სექტორი“?
- სააგენტო (მინდობილობითი) ურთიერთობები საჯარო სექტორში;
- ორგანიზაციის ფორმები;
- ლობირება და ლობისტური ჯგუფები;
- დაინტერესებული მხარეები საჯარო სექტორში.

შესავალი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თემა „საჯარო სექტორის მართვა“ შეტანილია სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდულის ახალი პროგრამის ბნ ნაწილში. ჩვენს სტატიაში ამ თემას განვიხილავთ იმავე თანმიმდევრობით, როგორც ეს გათვალისწინებულია სილაბუსსა (სასწავლო პროგრამასა) და მეცადინეობის გზამკვლევში.

ა) შეუდარეთ ერთმანეთს საჯარო, კერძო, საქველმოქმედო, არასამთავრობო (NGO და კვამი-NGO) სექტორებში მოქმედი ორგანიზაციები, მათ შორის, დაახასიათეთ სააგენტო (მინდობილობითი) ურთიერთობა, დაინტერესებული მხარეების მიზნები და საქმიანობის შედეგების შეფასების კრიტერიუმები (მათ შორის, ლობისტური ჯგუფები).

რას წარმოადგენს „საჯარო სექტორი“?

ე.წ.შერეულ ეკონომიკაში, როგორც ეკონომისტები უწოდებენ საბაზრო ეკონომიკას, მრავალნაირი ორგანიზაცია არსებობს. ზოგიერთი მათგანი კომერციული ორგანიზაციაა და მათი მიზანი მოგების მიღებაა. სხვა ორგანიზაციებს საქველმოქმედო ორგანიზაციებს უწოდებენ, რომლებიც არსებობენ გარკვეული საქველმოქმედო მიზნების განსახორციელებლად; კიდევ არსებობს ორგანიზაციების ერთი ტიპი, რომელსაც საჯარო (სახელმწიფო) სექტორს უწოდებენ. სახელმწიფო კომპანიები არ აურიოთ საჯარო კომპანიებთან, ანუ კომპანიებთან, რომლებიც კოტირებული არიან საფონდო ბირჟაზე (და მათი აქციების ყიდვა-გაყიდვა საფონდო ბირჟაზე საყოველთაოდ ხელმისაწვდომია). სახელმწიფო ორგანიზაციები ის ორგანიზაციებია, რომლებიც „რალაცნაირად“ დაკავშირებული არიან საზოგადოებრივ საქონელთან ან მომსახურებასთან, ან საზოგადოებას აწვდიან ამგვარ საქონელს თუ მომსახურებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ორგანიზაციები სხვადასხვა გზით ხელს უწყობენ მომხმარებლებისთვის ისეთი საქონლის ან მომსახურ-

რების მიწოდებას, რომლებსაც ვერ მიაწვდიან, ან არ უნდა მიაწოდონ კომერციულმა (კერძო სექტორის) საწარმოებმა.

უმეტეს შემთხვევებში, საჯარო სექტორის ორგანიზაციებს, უკიდურეს შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც, სახელმწიფო მართავს. სახელმწიფო არ აურიოთ მთავრობასთან. სახელმწიფო არის თვითმართვადი ავტონომიური რეგიონი, რომელიც ხშირად შედგება მოსახლეობისგან, რომელთაც აქვთ უახლესი ან უძველესი საერთო ისტორია. სახელმწიფოში, ძირითადად, 4 ორგანო არსებობს, რომელთა გარეშეც სახელმწიფო სრულფასოვნად ვერ იფუნქციონირებს: აღმასრულებელი ხელისუფლება (ანუ მთავრობა), საკანონმდებლო ხელისუფლება, სასამართლო ხელისუფლება და ადმინისტრაცია. ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციები ერთმანეთისგან განსხვავდება, შეუძლებელია მოვიყვანოთ რაიმე ერთი ტიპური მაგალითი იმისა, თუ როგორ „მუშაობს“ სახელმწიფოს ეს ელემენტები.

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში სახელმწიფოს მეთაურია მმართველი მონარქი, ხოლო მთავრობის მეთაური სხვა პირია (პრემიერ-მინისტრი). მთავრობის მეთაური ნიშნავს/ქმნის აღმასრულებელ ხელისუფლებას, ხოლო სახელმწიფოს მეთაურს, ძირითადად, უკავია ცერემონიალური მდგომარეობა, მაგრამ სხვა ქვეყნებში ეს პირი მთავრობაშიც გარკვეულ როლს თამაშობს. საკანონმდებლო ხელისუფლება ქმნის და იღებს სტატუტურ კანონებს, რომელთა დაცვას უზრუნველყოფს სასამართლო ხელისუფლება (სასამართლო სისტემა), სხვა არასტატუტურ კანონებთან ერთად, რომლებსაც უწოდებენ საერთო (ჩვეულებითი სამართლის) კანონებს. დემოკრატიულ საზოგადოებაში საკანონმდებლო ხელისუფლება არჩევით/არჩევნების გზით ფორმირდება, ხოლო სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია მთავრობისგან. ასე რომ, აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლო ხელისუფლებას შეუძლია სასამართლო საქმის აღძვრა მთავრობის ან მისი წევრების წინააღმდეგ.

სახელმწიფოს ადმინისტრაციული აპარატი/დეპარტამენტი უპირობოდ წარმოადგენს ბემოალნიშნული 4 ორგანოდან ყველაზე მსხვილ ორგანოს და პასუხს აგებს სახელმწიფო პოლიტიკის პრაქტიკაში რეალიზებასა და სახელმწიფოს ფუნქციების უდიდესი ნაწილის შესრულებაზე. როგორც ბემოთ აღვნიშნეთ, ადმინისტრაციის წარმომადგენლების როლიც დამოკიდებულია ქვეყნის კონსტიტუციაზე, თუმცა, როგორც წესი, ამ ფუნქციებში შედის განათლება, ჯანდაცვა, ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების უზრუნველყოფა, ცენტრალური მთავრობა, თავდაცვა, საერთაშორისო ურთიერთობები, სახელმწიფო პენსიები, გადასახადების შეგროვება და შიდა საკითხები, როგორცაა იმიგრაცია, პოლიცია და სასჯელალსრულებითი დაწესებულებები. ამგვარი ორგანიზაციები, ძირითადად, ფინანსდებიან სახელმწიფოს შემოსავლების ხარჯზე (ძირითადად გადასახადების ხარჯზე) და არსებობენ ისეთი ტიპის საზოგადოებრივი მომსახურების გასაწევად, რომლის შესრულებაც არ შეუძლია კერძო სექტორს ან, მთავრობის აზრით, არ უნდა იყოს დელეგირებული კერძო სექტორზე (ანუ იმ საწარმოებზე, რომლებიც ფინანსდება კერძო კაპიტალის ხარჯზე).

24 მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში და ასევე ბევრ განვითარებად ქვეყანაში ძალიან დიდი როლი აკისრია საჯარო სექტორს. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფო ხარჯავს ქვეყნის შიდა პროდუქტის 40%-ზე მეტს, ხოლო ზოგ შემთხვევაში ეს ციფრი 50%-საც აღემატება. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში საჯარო სექტორზე მოდის მთელი

სამუშაო ადგილების, დაახლოებით, 1/4. შესაბამისად, ძალიან დიდია საჯარო სექტორი და მოიცავს მრავალ სხვადასხვა ორგანიზაციას, რომლებიც მნიშვნელოვან მომსახურებას ასრულებენ და ბევრ შემთხვევაში, ათასობით და შეიძლება მილიონობით ადამიანიც კი ჰყავთ დასაქმებული.

სააგენტო ურთიერთობები საჯარო სექტორში

კერძო სექტორში კორპორაციული მართვის ერთ-ერთი უმთავრესი კონცეფციაა (ცნება) სააგენტო ურთიერთობა. სააგენტო (მინდობილობითი) ურთიერთობა იმას ნიშნავს, რომ ადამიანები, რომლებიც ბიზნეს/კომპანიებს მართავენ, არ არიან ამ ბიზნესის/კომპანიის მფლობელები და, ფაქტობრივად, ისინი ბიზნესს თავიანთი მარწმუნებლების სახელით მართავენ. ამბობენ, რომ ხელმძღვანელობას სააგენტო ურთიერთობა აქვს მარწმუნებლებთან იმ თვალსაზრისით, რომ მათ აკისრიათ ფიდუციარული ვალდებულება, დაეხმარონ მარწმუნებლებს იმ შედეგების მიღწევაში, რომლისკენაც მარწმუნებლები ისწრაფვიან. კერძო ან სახელმწიფო კომერციულ ორგანიზაციებში აქციონერები არიან მარწმუნებლები და უმეტესად, აქციონერები ისწრაფვიან იმისკენ, რომ თავიანთი აქციების ღირებულება გრძელვადიან პერსპექტივაში მაქსიმალური გახადონ. როგორც წესი, ეს მიიღწევა მომგებიანი სავაჭრო საქმიანობით და ისეთი სტრატეგიის მეშვეობით, რომელიც კომპანიებს ეფექტური კონკურენციის განხორციელების საშუალებას აძლევს კონკურენტულ გარემოში.

შედარებით განსხვავებული მდგომარეობაა საჯარო სექტორის ორგანიზაციებში. ადამიანები, რომლებიც საჯარო სექტორში მუშაობენ, ისეთივე გულმოდგინებით მუშაობენ, როგორც კერძო სექტორში დასაქმებულები, მათაც ანალოგიური ნათელი მიზნები აქვთ (თუმცა, ზოგჯერ ერთმანეთის საპირისპირო), მაგრამ ორგანიზაციული პრინციპები განსხვავებულია. როდესაც კერძო და სახელმწიფო კომპანიებს აქციონერები ჰყავთ, საჯარო სექტორის ორგანიზაციები თავიანთ მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებენ იმ პირთა სახელით, რომლებიც აფინანსებენ მათ საქმიანობას (ძირითადად გადასახადების გადამხდელები) და ასევე იმ პირთა სახელით, რომლებიც იყენებენ მათ მომსახურებას (მაგალითად, მოსწავლეები სკოლაში, პაციენტები საავადმყოფოებში და ა.შ.). ზოგჯერ დამფინანსებლები (ე.ი. გადასახადების გადამხდელები) და მომსახურების მომხმარებლები ერთი და იგივე ადამიანები არიან (მაგალითად, გადასახადების გადამხდელები, რომლებიც თავიანთ შვილებს ასწავლიან სახელმწიფო სკოლაში), მაგრამ ყოველთვის ასე არ არის. ამან შეიძლება გამოიწვიოს ამრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, რამდენი ფული იხარჯება და კონკრეტულად, რა მიზნებისთვის იხარჯება ეს ფული. პოლიტიკური დებატების უდიდესი ნაწილი ძირითადად ეხება იმის განხილვა/გარკვევას, სახელმწიფო დაფინანსებიდან საჯარო სექტორის რომელ ორგანიზაციას უნდა გამოეყოს ფული და როგორ და რა რაოდენობით დაიხარჯოს ის.

თუმცა, ზოგადად, საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციების მიზნები განსხვავებულია. თუ კერძო კომპანიები, როგორც წესი, კონკურენტუნარიანი პოზიციის ოპტიმიზაციისკენ ისწრაფვიან, საჯარო სექტორის ორგანიზაციები, როგორც წესი, ზრუნავენ სოციალურ მიზნებზე და აგრეთვე იმაზე, რომ მაქსიმალურად ეფექტურად დახარჯონ ფული და თავიანთი მომსახურება, რაც შეიძლება, ეკონომიურად და ეფექტიანად შეასრულონ.

საჯარო სექტორის ორგანიზაციის საერთო მიზნებისა და მათი საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ ნათელი წარმოდგენის შექმნაში დაგვეხმარება 3 მნიშვნელოვანი ცნება: ეკონომიურობა, ეფექტურობა და ეფექტიანობა.

- ეკონომიურობა გვიჩვენებს ფასისა და ხარისხის თანაფარდობას და მოთხოვნილი მომსახურების მიწოდებას საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში, დადგენილ ვადებსა და ასევე სხვა შეზღუდული რესურსების ფარგლებში. საჯარო სექტორის მუშაკები და მათი წარმომადგენლები ხშირად უჩივიან არასაკმარის დაფინანსებას, მაგრამ მათ სარგებელი უნდა მოუტანონ გადასახადების გადამხდელებს, იმ ადამიანებს, ვინც ამ ორგანიზაციაში მუშაობენ და ასევე იმათაც, ვინც სარგებლობს ორგანიზაციის მომსახურებით.
- ეფექტურობა დაკავშირებულია მიზანშეწონილი უკუგების მიღებასთან კონკრეტული მომსახურებისთვის დახარჯული (ინვესტირებული) ფულიდან და რესურსებიდან. ეფექტურობა განიმარტება, როგორც სამუშაოს შედეგი, რომელიც იყოფა შრომით დახარჯებზე – ეფექტურობის მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ, რაც შეიძლება, მეტი უკუგება მივიღოთ სისტემაში დაბანდებული ფულიდან. აქედან გამომდინარეობს, რომ ეფექტურად მომუშავე ორგანიზაცია გამოყენებული რესურსების მოცემული დონის პირობებში უფრო მეტ შედეგს იღებს, ვიდრე არაეფექტურად მომუშავე ორგანიზაცია.
- ეფექტიანობა გვიჩვენებს ორგანიზაციის მუშაობის ხარისხს, მისი ეკონომიური და ეფექტური მუშაობის ოპტიმალურ დონეს, რომლის მეშვეობითაც აღწევს დასახულ მიზნებს.

ორგანიზაციის ფორმები

სახელმძღვანელოში ერთმანეთისგან გამიჯნულია ორგანიზაციების შემდეგი ფორმები: საჯარო სექტორის ორგანიზაციები, კერძო სექტორის ორგანიზაციები, საქველმოქმედო სტატუსის მქონე ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორში მოქმედი ორგანიზაციები (არასამთავრობო ორგანიზაციები და კვანძო-არასამთავრობო ორგანიზაციები). არასამთავრობო ორგანიზაციების აღსანიშნავად ხშირად გამოიყენება ტერმინი „მესამე სექტორი“. სახელმწიფო და კერძო სექტორები პირველი და მეორე სექტორებია. თუმცა, მათი თანამიმდევრობა, რომელია პირველი და რომელია მეორე, იმაზეა დამოკიდებული, უბრალოდ ვინ წერს ამის შესახებ. მესამე სექტორი მოიცავს ისეთ ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიზანი არ არის მოგების მიღება ან სახელმწიფოს სახელით მომსახურების გაწევა. ეს ორგანიზაციები, ძირითადად, ისეთი სარგებლის მოსატანად არსებობენ, რომლის მოტანაც მომხმარებლებისთვის ადვილად არ შეუძლიათ არც კომერციულ ორგანიზაციებს და არც საჯარო სექტორის ორგანიზაციებს.

არასამთავრობო ორგანიზაციების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ორგანიზაციები, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით სამედიცინო დახმარებას ემსახურებიან. ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაცია, როგორცაა Medicins sans Frontiers („Doctors without borders“ ინგლისურ ენაზე ანუ „ექიმები საზღვრების გარეშე“), წარმოადგენს უმსხვილეს

და კარგად სტრუქტურირებულ ორგანიზაციებს, რომლებიც მნიშვნელოვან სამედიცინო დახმარებას უწევენ ადამიანებს საომარი მოქმედების ზონებში და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ არასამთავრობო ორგანიზაციებს კერძო კომპანიებისა და მთავრობების მხარდაჭერა აქვთ თავიანთი მიზნებისა და საქმიანობის განხორციელებაში, ეს ორგანიზაციები ხშირად ძირითადად კერძო წყაროებიდან ფინანსდებიან (მაგალითად ქველმოქმედი ადამიანების მიერ) და არ ფუნქციონირებენ არც ბიზნესის ტრადიციული სტრუქტურის და არც საჯარო სექტორის ტრადიციული სტრუქტურის ფარგლებში.

ასეთ შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციებს და საქველმოქმედო ორგანიზაციებს შეიძლება მართავდეს აღმასრულებელი და არააღმასრულებელი მმართველი ორგანო/საბჭო, მაგრამ ეს ორგანოები ექვემდებარებიან ნდობით აღჭურვილ პირთა უმაღლეს საბჭოს, რომლის ფუნქცია იმის უზრუნველყოფაა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია ან საქველმოქმედო ორგანიზაცია მუშაობდეს დადგენილი მიზნის შესაბამისად, ან უფლებამოსილების დადგენილი ჩარჩოების ფარგლებში. ამ შემთხვევაში, სააგენტო ურთიერთობა მყარდება არასამთავრობო ან საქველმოქმედო ორგანიზაციასა და მის დონორებს შორის. როდესაც დონორებს შემოწირულობა შეაქვთ არასამთავრობო ან საქველმოქმედო ორგანიზაციაში, მნიშვნელოვანია, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ შემოწირულობას პასუხისმგებლობით გამოიყენებენ დანიშნულებისამებრ. ამის უზრუნველყოფა სწორედ სამეურვეო საბჭოს ევალება .

ზოგ შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციას შეიძლება სახელმწიფო აფინანსებდეს, მაგრამ ეს ორგანიზაცია თავის საქმიანობაში მაინც მიიჩნეოდეს მთავრობისგან ნახევრად დამოუკიდებელ ორგანიზაციად. მაგალითად, ასე შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, როდესაც სახელმწიფოს სურს გარკვეული დახმარების გაწევა ამა თუ იმ სექტორისთვის (მაგალითად, კომპანიების რეგიონალური მხარდაჭერა), მაგრამ, ამავე დროს, შეიძლება სურდეს, რომ მოცემული მომსახურების მნიშვნელობის გამო, მომსახურება დაკავშირებული არ იყოს რაიმე პოლიტიკურ მოსაზრებებთან/ჩარევასთან და არც ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდეს, რომ დაკავშირებულია. თუ მთავრობას სურს, არ დაადანაშაულონ იმაში, რომ, მაგალითად, ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა მოტივირებული იყო მმართველი პარტიის მიერ პოლიტიკური სარგებლის მიღებით, მან თავის მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციას უნდა მისცეს ავტონომიური მოქმედების შესაძლებლობა გადაწყვეტილებების მიღების საქმეში, თუნდაც ეს გადაწყვეტილებები ხელს უწყობდეს სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზებას.

ამგვარ ორგანიზაციებს ხშირად კვაზიავტონომიურ არასამთავრობო ორგანიზაციებს უწოდებენ. კვაზიავტონომიურ არასამთავრობო ორგანიზაციებს ხშირად ადანაშაულებენ იმაში, რომ უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს იღებენ, ვინაიდან ისინი სათანადოდ არ ასრულებენ დაკისრებულ ანგარიშვალდებულებას მთავრობის და გადასახადების გადამხდელების წინაშე, რომლებიც აფინანსებენ მათ გადაწყვეტილებებს. თუმცა, ნაწილობრივ სწორედ ამაში მდგომარეობს კვაზიარასამთავრობო ორგანიზაციის არსი/ამრი: მათ საქმიანობაში გაითვალისწინება ბევრი პრინციპი, მათ შორის, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები, ცენტრალური ხელისუფლება და გადასახადების გადამხდელი ეროვნული კომპანიები. კვაზიარასამთავრობო ორგანიზაცია შეიძლება პოლიტიკურად მოუხერხებელი იყოს და, შესაბამისად, მათი გამოყენება საჯარო სექტორში დროთა განმავლობაში იცვლება.

თვითონ საჯარო სექტორის ორგანიზაციები შეიძლება სხვადასხვა ფორმით იყოს წარმოდგენილი. მაგრამ, თითოეულ შემთხვევაში, მათ პირდაპირ პასუხისმგებლობა აკისრიათ სახელმწიფო პოლიტიკის გარკვეული ნაწილის რეალიზებაზე და უმეტეს ქვეყნებში ამგვარ ორგანიზაციებს სახელმწიფო აკონტროლებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მათზე ხორციელდება „პოლიტიკური კონტროლი“, იმ თვალსაზრისით, რომ მთავრობის წარმომადგენლები, პოლიტიკური მიზნებისთვის, ნაწილობრივ აკონტროლებენ მათ მიზნებსა და საქმიანობას. ბევრ ქვეყანაში პოლიტიკა იყოფა მემარცხენეებად და მემარჯვენეებად, ხოლო სხვა ქვეყნებში პოლიტიკური აზრთა სხვადასხვაობა უფრო მეტად დაკავშირებულია ეთნიკურ კუთვნილებასთან, კულტურასთან ან რელიგიასთან. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში უნივერსიტეტებს ძირითადად სახელმწიფო აფინანსებს, ხოლო სხვა ქვეყნებში კერძო დაწესებულებებია. იგივე შეიძლება ითქვას ჯანდაცვის სფეროსა და სკოლების შესახებ. ზოგიერთ ქვეყანაში ამ სფეროებს აკონტროლებს და აფინანსებს ცენტრალური მთავრობა, ხოლო სხვა ქვეყნებში კერძო წყაროებიდან ფინანსდებიან და მათი მომსახურებისთვის მოქალაქეებმა უნდა გადაიხადონ თვითონ, ან დაზღვევის მეშვეობით.

დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც პოლიტიკურ პრიორიტეტებს საჯაროდ იხილავენ, ხოლო მთავრობები ამომრჩეველთა კოლექტიური ნებით იცვლება, ბევრი გარე დაინტერესებული მხარე/ჯგუფი ცდილობს სახელმწიფო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას. ზოგ შემთხვევაში, გარე ინტერესების წარმომადგენლები ერთიანდებიან რაიმე გარკვეული მოსაზრების/მიზნის ირგვლივ და ზოგიერთ მათგანს საჭიროდ მიაჩნია სპეციალური კამპანიის წამოწყება, რომელიც მათ სახელმწიფო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის საშუალებას მისცემს თავიანთი პირადი ინტერესების სასარგებლოდ. ასეთი ჯგუფები, რომლებიც სპეციალურად იმისთვის არიან ორგანიზებული, რომ სახელმწიფო პოლიტიკაზე ან საკანონმდებლო აქტების შემუშავებაზე გავლენის მოხდენა სცადონ; ხშირად „ლობირებენ“ პოლიტიკოსებს, რათა აიძულონ ისინი, საკანონმდებლო ორგანოში ხმა მისცენ მათი კონკრეტული ინტერესების სასარგებლოდ. ამგვარ ლობისტურ ჯგუფებს შეუძლიათ გავლენის მოხდენა ფართო სპექტრის საკითხების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. ცხადია, მათი საქმიანობა კანონიერია, მაგრამ მაინც არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეს ყოველთვის არ არის სასარგებლო, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ უფრო კარგად უსმენენ მათ, ვინც კარგად ფინანსდებიან. ამან შეიძლება იმოქმედოს საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ და კერძო ინტერესების სასარგებლოდ და მიიჩნევა, რომ ამგვარი ქმედება სასარგებლო არ არის დემოკრატიული პროცესისთვის.

დაინტერესებული მხარეები საჯარო სექტორში

სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდულის გამოცდებზე გამომცდელი შეამოწმებს კერძო სექტორის ბევრ დაინტერესებულ მხარეს, ასევე - საჯარო სექტორის დაინტერესებულ მხარეებსაც, ვინაიდან ბიზნესლიდერები საჭიროა ყველა სექტორში. საჯარო სექტორის ორგანიზაციებს ბევრ შემთხვევაში გაცილებით უფრო რთული სტრუქტურის ურთიერთობები აქვთ, ვიდრე ზოგიერთ კერძო სექტორის საწარმოს. ვინაიდან საჯარო სექტორის საქმიანობის უდიდესი ნაწილი გადასახადების ხარჯზე ფინანსდება, საჯარო სექტორის ორგანოებს/ორგანიზაციებს დამატებითი ღირებულების შექმნის გაცილებით უფრო რთული მოდელი აქვთ. კერძო ბიზნესისთვის ყველანაირი შემოსავლების წყაროა მეწარმე სუბიექტის მომხმარებლები, რომლებიც ნებაყოფლობით დაუკავშირდნენ კომპანიას და მიიღეს გარკვეული სარგებელი მათთვის საჭირო საქონლის ან მომსახურების სახით.

თუმცა, მთავრობის შემთხვევაში, დაბეგვრა სავალდებულო ასპექტია და გადასახადების გადახდა ხდება გადასახადის გადამხდელის ნების მიუხედავად. ქვეყნის მოქალაქეები შეიძლება არ ეთანხმებოდნენ სახელმწიფოს მიერ დადგენილ გადასახადების დონეებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადასახადის გადამხდელი ხედავს, რომ მისი გადასახადების დიდი ნაწილი ისეთი მიზნების ან მომსახურებისთვის იხარჯება, რომლებსაც, ძირითადად, სხვებისთვის მოაქვს სარგებელი (და არა კონკრეტულად მისთვის) და ამას შეიძლება ისინი არ ეთანხმებოდნენ.

პოლიტოლოგები უკვე დიდი ხანია განიხილავენ საზოგადოებრივი შეთანხმების მნიშვნელობის საკითხს მთავრობასა და იმ პირებს შორის, ვისაც მართავენ. ასეთ შემთხვევაში, ისინი, ვინც გადასახადს იხდიან საზოგადოებრივი მომსახურებისთვის და ისინი ვინც სარგებლობს ამ მომსახურებით, უნდა გრძნობდნენ, რომ მათ სამართლიანად ექცევიან, ზედმეტად არ უწევთ ექსპლუატაციას და ცუდად არ ემსახურებიან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სინამდვილეში ბევრი ამგვარი მოთხოვნა არსებობს, მთავრობაზე დაინტერესებულ მხარეთა ზეწოლის არსის გაგება ხშირად ძალიან ძნელია.

გარდა ამისა, ზოგიერთი დაინტერესებული მხარის მოთხოვნებს სხვადასხვაგვარად აფასებს სხვადასხვა ადამიანი, თავიანთი კონკრეტული პოლიტიკური პოზიციიდან გამომდინარე. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი დაინტერესებული მხარეების ზოგიერთ პრეტენზიას ზოგიერთი ადამიანი აღიარებს, მაგრამ სხვები არ აღიარებენ. ამან შეიძლება ნამდვილად შექმნას ძალიან რთული სიტუაცია, როდესაც საქმე ეხება გადაწყვეტილების მიღებას იმის თაობაზე, დაინტერესებული მხარის რომელი პრეტენზიები უნდა აღიარონ და გაითვალისწინონ და რომელი უნდა შემცირდეს ან უგულვებელყონ. ზოგიერთ დაინტერესებულ მხარეს ძალიან სუსტი ხმა აქვს, ხოლო სხვებს საერთოდ არ გააჩნიათ ეფექტური ხმა იმისთვის, რომ გამოხატონ თავიანთი მოთხოვნა. პოლიტიკური დებატების გარკვეული ნაწილი ეხება იმას, რა ხარისხით არიან წარმოდგენილი ეს სუსტი დაინტერესებული მხარეები და როგორ ხდება მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

**თავდაპირველი სტატიის ადაპტირებული ვერსია
სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდულის
სასწავლო პროგრამისთვის მოამზადა
საგამოცდო კომისიის წევრმა**

შენიშვნა: დაინტერესებული მხარეების შესახებ საგამოცდო კომისიის წევრების მიერ მომზადებულია უფრო დეტალური სტატია, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება. სტატიის სახელწოდებაა „რა უნდა ვიცოდეთ დაინტერესებული მხარეების შესახებ“, რომლის პირველი ნაწილი გამოქვეყნდა ჟურნალის 2019 წლის ნოემბრის ნომერში, ხოლო მეორე ნაწილი – 2020 წლის მარტის ნომერში.

ACCA-ის პასუხი ევროკომისიის კონსულტაციებთან დაკავშირებით - კორპორატიული ანგარიშგების გაძლიერების თაობაზე



Think Ahead

„ACCA მხარს უჭერს ევროკომისიის სამსვეტიან მიდგომას ხარისხიანი და სანდო კორპორატიული ანგარიშგების გასაძლიერებლად, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების ეკოსისტემის განვითარებისთვის. კორპორატიული მმართველობის, სავალდებულო აუდიტის და ზედამხედველობის გაუმჯობესება კოორდინირებულად უნდა განხორციელდეს, რათა მათ ერთობლივად გაზარდონ კორპორატიული ანგარიშგების ხარისხი.“

ACCA-მ თავისი წვლილი უკვე შეიტანა ევროკომისიის კონსულტაციებში ანგარიშგების სამი სვეტის თაობაზე. მან ასევე გამოსცა რეკომენდაციების სერია, რათა წამოეწყო კონსტრუქციული დიალოგი პოლიტიკის შემუშავებლებსა და ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის შესაძლო გადაწყვეტილებების თაობაზე.

ACCA-ს პროფესიული ინსაიტების დირექტორმა **მაიკ საფილდმა** განაცხადა: „კორპორატიული მართვის, სავალდებულო აუდიტისა და ზედამხედველობის გაუმჯობესება კოორდინირებულად უნდა მოხდეს, რადგანაც სამივე მათგანს შეუძლია ერთმანეთის გაძლიერება და უკეთესი შედეგის მიღება. ჩვენ ასევე ვი-



მაიკ საფილდი

წონებთ ევროკომისიის მრავალმხრივი ჩართულობის მიდგომას, რადგან თითოეული აღნიშნული სვეტის შესაბამისი დაინტერესებული მხარე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მდგრადი გაუმჯობესებების მიღწევაში“.

ACCA მხარს უჭერს ევროკომისიის მიერ სპეციფიკური ხარისხობრივი ინდიკატორების შექმნას კორპორატიული ანგარიშგების, სავალდებულო აუდიტისა და ზედამხედველობისათვის.

მაიკ საფილდი განმარტავს:

„ჩვენ გვჯერა, რომ სპეციფიკური ხარისხობრივი ინდიკატორები შესაძლოა კარგი ხელსაწყო იყოს სამივე სვეტის ძირითადი ასპექტებისთვის სამიზნე შედეგების განსასაზღვრად და მათი მიღწევის გასაზომად. ჩვენ ვთვლით, რომ ACCA-ის მიერ გამოცემული ანგარიშები „კარგი კორპორატიული ანგარიშების პრინციპები“, „კარგი კორპორატიული მმართველობის პრინციპები“ და „ხარისხიანი აუდიტის პრინციპები“ შესაძლოა ასეთი ინდიკატორების წყაროდ გამოვიყენოთ.“

ACCA ასევე ეთანხმება მოსაზრებას, რომ ფინანსური ანგარიშების უფრო ფართო ეკოსისტემის გაუმჯობესება ასევე ხელს შეუწყობს European Green Deal-ის მიზნების მიღწევას კლიმატთან, ენერჯისთან, ტრანსპორტსა და გადასახადებთან დაკავშირებით.

ორგანიზაციის მოსაზრებით, დოკუმენტი „გადასახადები, როგორც კეთილდღეობისკენ მიმართული ძალა: საგადასახადო სისტემების ბალანსირება მომავლის გლობალური ეკონომიკისთვის“, - იძლევა ამ მიმართულებით საინტერესო რეკომენდაციებს გვაძლევს. ეს კი საფუძველს უყრის გლობალურ კოორდინაციას, რაშიც ევროკავშირს საკვანძო როლის შესრულება შეუძლია.

კორპორატიულ მმართველობასთან დაკავშირებით, ACCA მიიჩნევს, რომ ეს არის გაუმჯობესებების შესაძლებლობა და მხარს უჭერს ევროკავშირის ფარგლებში ჰარმონიზაციას, განსაკუთრებით, ისეთ საკითხებში, როგორცაა აუდიტის კომიტეტებისა და საბჭოების ვალდებულებები. ჩვენ განსაკუთრებულ რეკომენდაციას ვუწევთ კომპანიების საბჭოებს, დაეკისროთ მკაცრი პასუხისმგებლობა, რათა

კორპორატიული ანგარიშების მოსამზადებლად დანერგონ ეფექტური რისკების მართვა და შიდა კონტროლის სისტემები. ეს უნდა მოიცავდეს კონტროლს თაღლითობისა და განგრძობითი საქმიანობის მიმართულებით, ასევე ანგარიშგებას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გატარებული ზომების შესახებ. ასევე უნდა არსებობდეს უფრო სპეციფიკური ინსტრუქცია დირექტორების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით - გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებში.

რაც შეეხება აუდიტს, ACCA-ს მიაჩნია, რომ აუდიტის ხარისხთან დაკავშირებული ხარვეზები, რომელიც ევროკავშირის კონსულტაციების ფარგლებში იქნა აღმოჩენილი, არ უნდა მიეწეროს ევროკავშირის სამართლებრივი და საზედამხედველო ჩარჩოს არასრულფასოვნებას და, რომ დამატებითი, უფრო მკაცრი რეგულაციები გაუმჯობესებულ აუდიტის ხარისხის გარანტი ვერ იქნება

საფილდი განმარტავს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო მნიშვნელოვანია, მეტი აქცენტი გაკეთდეს უკვე არსებული ევროკავშირის ჩარჩოს დანერგვასა და ჰარმონიზაციაზე. ჩვენ, ასევე, მხარს ვუჭერთ ახალ ინიციატივებს, რომლებიც გაზრდიან აუდიტის ხარისხს პროფესიის შიგნით სწავლებისა და საგანმანათლებლო გამოცდილების გაზრდის გზით.“

ამასთანავე, ACCA განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ანიჭებს სხვადასხვა დირექტივებსა და ინიციატივებს შორის თანმიმდევრულობას, რათა ყველა მხარეს მიეცეს საშუალება, წინასწარ დაგეგმონ და კონსტრუქციულად დანერგონ ისინი.“

8 რჩევა - შესაძლებლობები ახალ ტექნოლოგიებში

ბულალტრული ფირმებისთვის არასოდესაა ადვილი, შექმნან სრულიად ახალი სერვისის ხაზი, მაგრამ როცა საქმე ახალ ტექნოლოგიებს უკავშირდება, აღნიშნული პროცესი უნიკალურ გამოწვევებთანაა დაკავშირებული.

იქნება ეს ბლოკჩეინი, ბიგ დატა, ხელოვნური ინტელექტი თუ ნებისმიერი სხვა ტექნოლოგიური ხელსაწყო – ამ მიმართულებებით შესაძლებლობების აღმოსაჩენად და ახალი პრაქტიკის შესაქმნელად ფირმებს მოუწევთ ახალი შეხედულებების, ახალი სტრატეგიებისა და ახალი მიდგომების დანერგვა.

ქვევით გაგაცნობთ, ამ მიმართულებით, პიონერი ფირმების 8 რჩევას:

1. მზად იყავით გზადაგზა სწავლისთვის.

ბაზრებს, კლიენტებს, კანონმდებლებსა და მარეგულირებლებს დიდი დრო სჭირდებათ ახალი ტექნოლოგიების დასაწევად და შესაბამისად, შესაძლოა, ფირმებს ახალი გზების დამოუკიდებლად გაკვალვა მოუწიოთ.

ატლანტაში დაფუძნებული ფირმა Aprio სწორედ ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, როდესაც კლიენტმა 2013 წელს მოითხოვა ის, რასაც კაცობრიობის ისტორიაში შეიძლება ეწოდოს პირველი აუდიტის ჩატარება ბლოქჩეინ-კომპანიაში.

„პირველი რამდენიმე გარიგება ამ მიმართულებით სასწავლო გარიგება იყო ჩვენთვისაც და ჩვენი კლიენტებისთვისაც,“ – განაცხადა დევიდ სიგელმა, რომელიც ამჟამად ფირმის ბლოქჩეინ-მიმართულებას ხელმძღვანელობს. „მათ არასოდეს გაუვლიათ აუდიტი, ჩვენ კი არასოდეს ჩავგვიტარებია ბლოქჩეინის აუდიტი, შესაბამისად, ჩვენ ეს უნარები გზადაგზა შევიძინეთ. გავვიმართლა, რომ საკმაოდ მომთმენი კლიენტები გვყავდა“

2. ინფორმაცია უპირველეს ყოვლისა

დღეისათვის ყველა ტექნოლოგია და ყველა კომპანია ქმნის გიგანტური მოცულობის ინფორმაციას. აღნიშნული გარემოება ნაყოფიერ სივრცეს წარმოადგენს ახალი სერვისების დასაწევად, ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სერვისებისთვის კი ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს.

ფირმა Armanino-ს ზრდისა და ინოვაციების აღმასრულებელი ოფიცერი ტომ მესკალი ამბობს, რომ მისი კომპანიის დირექტორები მომავალთან დაკავშირებით სამ უპირობო ჭეშმარიტებაზე შეთანხმდნენ: „ინფორმაცია უფრო მნიშვნელოვანი იქნება 10 წლის შემდეგ. კომპანიებს უფრო მეტად გაუჩნდებათ სურვილი, დაგროვილი ინფორმაციიდან ცოდნა 10 წლის შემდეგ მიიღონ; და მე-3 ჭეშმარიტება ისაა, რომ მომავალში კლიენტებს, კომპანიებსა და ბიზნესებს მოუნდებათ, უფრო სწრაფი წვდომა ჰქონდეთ აღნიშნულ ინფორმაციასთან გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.“

3. აირჩიეთ სწორი ინდუსტრია

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ ინდუსტრიაში, ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სერვისები კლიენტების ფართო სპექტრისთვის სასარგებლოა, კარგი იქნება, თუ გამოიკვლევთ ისეთი ბიზნესების არსებობის შესახებ, სადაც ასეთი სერვისები მეტად ღირებულია.

მაგალითად, კიბერუსაფრთხოება ყველა კომპანიისთვის მნიშვნელოვან საკითხს უნდა წარმოადგენდეს, თუმცა ფირმა LBMC თავისი სერვისის ფოკუსირებას ისეთ ინდუსტრიაში ახდენს, რომელშიც კიბერუსაფრთხოების საკითხი რეგულაციები-

დან გამომდინარე უფრო მნიშვნელოვანია. მაგალითად, ჯანდაცვის ინდუსტრიას განსაკუთრებული ვალდებულებები აკისრია მარეგულირებლების მხრიდან, კიბერუსაფრთხოების მიმართულებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ინდუსტრიაში მომუშავე კლიენტები უკვე საკმარისად ინფორმირებული არიან საკითხის მნიშვნელობაში.

4. ასწავლეთ კლიენტებს

ცხადია, კარგია, როცა გათვითცნობიერებულ კლიენტებთან მუშაობ, თუმცა ყოველთვის არსებობს იმის ალბათობა, რომ პოტენციური ბაზრებისთვის ინფორმაციის მიწოდება გახდეს საჭირო.

მაგალითისთვის, Armano-ს ინიციატივა DataVue მესკალის თანახმად „უფრო მეტად გააზრებულ ლიდერშიფს წარმოადგენს, ვიდრე სერვისის შეთავაზებას.“ „როცა ბაზარს ვუყურებთ, ვხვდებით, რომ კომპანიების რელევანტურობის უამრავი ასპექტი იცვლება. ფინანსური დირექტორები ისეთი კითხვების წინაშე აღმოჩნდნენ, როგორცაა - როგორ ვიყო ეფექტური დღეს და როგორ დავრჩე რელევანტური ხვალ ამ ცვლილებების ფონზე? ცვლილებები პოლიტიკური, რეგულაციური და ინდუსტრიებისთვის უნიკალური შეიძლება იყოს, თუმცა ყველაზე დიდი ცვლილებების წყარო ტექნოლოგიებია.“

5. მზად იყავით კონკურენციის სხვადასხვა ფორმებისთვის

ტექნოლოგიების მიმართულებით მუშაობას ბაზრის მრავალი მოთამაშე გეგმავს, არა მხოლოდ პროფესიონალური სერვისების ფირმები. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა კონკურენციაში აღმოჩნდეთ ისეთ კომპანიებთან, რომლებსაც მეტი რისკის აღება ან უფრო მეტი ინვესტიციის განხორციელება შეუძლიათ.

6. გამოიყენეთ თქვენი ძლიერი მხარეები

ეს შესაძლოა ცხადი მოგეჩვენოთ, თუმცა მაინც უნდა ითქვას, რომ ტექნოლოგიური სერვისების პიონერი ფირმები ყველაზე წარმატებულები მაშინ არიან, როცა საკუთარი ძირეული უნარების - საგადასახადო, სააღრიცხვო ან აუდიტის სერვისების მიმართ მაღალი მოთხოვნის მქონე ინდუსტრიაში ეძებენ ტექნოლოგიურ პერსპექტივებს.

7. ეძებეთ ექსპერტები ყველგან

პიონერი ფირმები, ძირითადად, საწყის ეტაპზე ტექნოლოგიური სერვისების მიმართულებების პერსონალს ტრადიციული ბუღალტრებით ავსებენ, რომლებიც გადამოწყავთ სხვა დეპარტამენტებიდან, იმისმიხედვით, თუ რა სახის ინტერესს იჩენენ ახალი მიმართულების მიმართ. თუმცა, ისინი მალევე რწმუნდებიან, რომ საქმიანობის ზრდასთან ერთად აუცილებელი ხდება არაბუღალტერი პერსონალის დამატება, რომელსაც გააჩნია ტექნოლოგიური ექსპერტიზა.

8. დანერგეთ ინოვაციის კულტურა

ახალი სერვისის ხაზის მშენებლობა ყოველთვის მოითხოვს მეწარმის თვისებებს, თუმცა ახალი ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად მოძრავ მიზანს წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით მოქნილობა და ინოვაციურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ფირმა EisnerAmper-ის პარტნიორი ჯერი რავი აცხადებს: „ჩემი მესიჯი თანამშრომლებთან ასეთია - თუ რაიმეს ერთი გზით აკეთებდი გუშინ, იფიქრე იმაზე, როგორ შეიძლება გააკეთო ის სხვაგვარად ხვალ. მე მუდმივად ჩართული ვარ ამ პროცესში, მათთან ერთად. ჩვენ მუდმივად ვართ ინოვაციების, ტრანსფორმაციისა და გაუმჯობესების ძიებაში.“

ვებგვერდი, 27/12/2021
სარეგისტრაციო კოდი
200000000.05.001.020453

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
16 დეკემბერი 2021 წ.
N1148-VIმს-Xმპ

ვებგვერდი, 28/01/2022
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017546

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №18 2022 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 11¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები არ ვრცელდება იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიმართ, რომელშიც გადასახადის გადამხდელი, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მიხედვით, იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცესი.“.

2. 22¹ მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სავარაუდო დარიცხვა შეიძლება გაუქმდეს შესწორებითი დარიცხვით:

ა) საგადასახადო შემოწმების შედეგების საფუძველზე მიღებული საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით;

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილებით;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის გზით. ამ შემთხვევაში, პირის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება დაგვიანებულად წარდგენილად ჩაითვლება.“.

3. 37-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 37. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაცია

1. პირი, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საგადასახადო ორგანოს წარუდგენს დეკლარაციას საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ, №II-06 დანართის მიხედვით.

2. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიზნებისთვის, თუ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელი, გარდა ფიზიკური პირისა, არ წარადგენს საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ დეკლარაციას, არ ითვლება, რომ მან წარადგინა დეკლარაცია, რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დებულება არ ვრცელდება იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიმართ, რომელშიც გადასახადის გადამხდელი, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მიხედვით, იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცესი.“.

4. მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი და „შენიშვნა“:

„3. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიზნებისთვის, თუ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელი არ წარადგენს მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას, არ ითვლება, რომ მან წარადგინა დეკლარაცია, რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დებულება არ ვრცელდება იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიმართ, რომელშიც გადასახადის გადამხდელი, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მიხედვით, იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცესი.“.

5. 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „შენიშვნა“:

„შენიშვნა: ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დებულება არ ვრცელდება იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიმართ, რომელშიც გადასახადის გადამხდელი, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მიხედვით, იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცესი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვებგვერდი, 28/12/2021
 სარეგისტრაციო კოდი
 230000000.05.001.020466

**საქართველოს კანონი
 საქართველოს საბაჟო კოდექსში
 ცვლილების შეტანის შესახებ**

მუხლი 1. საქართველოს საბაჟო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04.07.2019, სარეგისტრაციო კოდი: 230000000.05.001.019529) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 213-ე მუხლის:

ა) მე-6 და მე-7 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. 2023 წლის 1 იანვრამდე იმ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში, რომელიც არ მდებარეობს სასაზღვრო-საბაჟო გამშვებ პუნქტზე ან საერთაშორისო მიმოსვლისთვის გახსნილი აეროპორტის ტერიტორიაზე, უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების სამსახურებრივი სარგებლობისთვის, ამ წარმომადგენლობებისა და დიპლომატიური მისიების წევრების (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისთვის მათზე საცალო წესით შესაძლებელია რეალიზებულ იქნეს უცხოური საქონელი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე ან/და საქართველოს საქონელი.

7. ოქროს სიაში შეყვანით პირს 2023 წლის 1 იანვრამდე ენიჭება უფლება, კუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას ისარგებლოს გამარტივებული პროცედურებით.“;

ბ) მე-9 და მე-10 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. 2023 წლის 1 იანვრამდე ამ კოდექსის 66-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენად მიიჩნევა საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემთხვევაში საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარანტის ან მისი წარმომადგენლის მიერ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა.

10. 2023 წლის 1 იანვრამდე საბაჟო ორგანოსთვის ამ კოდექსის 155-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენა არ მოითხოვება.“.

2. 214-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კოდექსის X წიგნის მოქმედება შეჩერდეს 2023 წლის 1 იანვრამდე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
 თბილისი,
 17 დეკემბერი 2021 წ.
 N1164-VIმს-Xმპ

საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 173-ე მუხლის:

- ა) „ფ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ფ) საქართველოს საბაჟო კოდექსის 107-ე მუხლით გათვალისწინებული დაბრუნებულ საქონლის იმპორტი, თუ ეს საქონელი გათავისუფლდა იმპორტის გადასახადისგან;“;
- ბ) „ყ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ყ) საქონლის იმპორტი საერთაშორისო დიპლომატიური და საკონსულო შეთანხმების შესაბამისად, თუ ეს საქონელი გათავისუფლდა იმპორტის გადასახადისგან;“.

2. 192-ე მუხლის:

- ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. ამ მუხლის 1¹ და 1² ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აქციზით დასაბეგრი ოპერაციის ან/და საქონლის იმპორტის განხორციელებამდე, აგრეთვე ამ კოდექსის 190¹ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქონლის შემძენი ან/და მიმღები პირისთვის გადაცემამდე აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას ექვემდებარება:

- ა) აქციზით დასაბეგრი ალკოჰოლიანი სასმელი;
- ბ) თამბაქოს ნაწარმი (მათ შორის, თამბაქოს ნედლეული, თამბაქოს ნარჩენები);
- გ) სითხეები ნიკოტინის შემცველობით ან ნიკოტინის შემცველობის გარეშე, განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისთვის.“;

ბ) 1¹ ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1² ნაწილი:

„1². საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდში მითითებული საქონლის იმპორტის შემთხვევაში იმპორტიორის მიერ აქციზური საქონლის აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“;

გ) მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული საქონლის იმპორტი;“;

დ) მე-7 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„შენიშვნა: ამ ნაწილის მოქმედების წესი ამ მუხლის 1² ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“.

3. 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ამ კოდექსის 173-ე მუხლის „მ“ და „წ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად საქონლის იმპორტი;“.

4. 199-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) საქონლის მიმართ გამოყენებული საბაჟო პროცედურები/რეექსპორტი (გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული საქონლის იმპორტისა და დროებით შემოტანისა) საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქონლის განთავსება;“.

5. 309-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 132-ე ნაწილი:

„132. 2023 წლის 1 იანვრამდე დღე-ისგან გათავისუფლებულია საქონლის იმპორტი ამ კოდექსის 199-ე მუხლის „დ“ და „ო“ ქვეპუნქტების მოთხოვნების შესაბამისად, იმავე მუხლის შენიშვნის გათვალისწინებით, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან საქონლის იმპორტისა.“.

6. 310-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ კოდექსის 173-ე მუხლის „შ“ ქვეპუნქტისა და 199-ე მუხლის „ს“ ქვეპუნქტის მოქმედება შეჩერდეს 2023 წლის 1 იანვრამდე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
17 დეკემბერი 2021 წ.
N1165-VIმს-Xმმ

ვებგვერდი, 28/12/2021
 სარეგისტრაციო კოდი
 200000000.05.001.020462

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-80 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 და მე-8 ნაწილები:

„7. ფიზიკური პირის, რომელიც აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობიდან იღებს შემოსავალს, აღნიშნული საქმიანობის ნაწილში, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია აზარტულ თამაშობაზე/თამაშობებზე მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა.

8. სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) მონაწილე პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის მიერ სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა.“.

2. 81-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ და 3² ნაწილები:

„3¹. ფიზიკური პირის მიერ აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 10 პროცენტით.

3². პირის მიერ ამ კოდექსის მე-80 მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა იბეგრება 2 პროცენტით.“.

3. 97-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რეზიდენტი საწარმოს (გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-8-9¹ ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

ა) განაწილებული მოგება;

ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

დ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.“;

ბ) მე-9 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 9¹ და 9² ნაწილები:

„9¹. აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში საქმიანობის ამ ნაწილში პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა.

9². ამ მუხლის მე-9 და 9¹ ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იმავე ნაწილებით გათვალისწინებული საქმიანობებიდან მიღებული მოგების თანხის იდენტიფიცირებისთვის მიიჩნევა, რომ პირის მიერ დივიდენდის განაწილებისას პირველ რიგში ეს თანხა გაიცემა.“.

4. 98-ე მუხლის

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“;

ბ) მე-2 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:

„3. პირის მიერ აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობიდან მიღებული დასაბეგრი მოგება იბეგრება 10 პროცენტით.“.

5. 135-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირისთვის (გარდა ამ მუხლის მე-2-მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული პირებისა) საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი.“;

ბ) მე-3 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

„4. აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირისთვის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.“.

6. 153-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) რეზიდენტი ფიზიკური პირი, რომლის შემოსავალიც არ იბეგრება საქართველოში გადახდის წყაროსთან (გარდა იმ პირისა, რომელიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრება ამ კოდექსის მე-80 მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით);“;

ბ) მე-10 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საწარმო, ორგანიზაცია და არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება (საწარმოები, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი-მე-3 და 9¹ ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) ვალდებული არიან, ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ დეკლარაცია მოგების გადასახადის შესახებ.“;

გ) მე-10 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 ნაწილი:

„11. ფიზიკური პირი, რომელიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრება ამ კოდექსის მე-80 მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით, ვალდებულია ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ.“.

7. 154-ე მუხლის პირველი ნაწილის:

ა) „ე“ ქვეპუნქტის შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა:

1. ფიზიკური პირის მიერ მოგებისას, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, სამორინეს, აზარტული კლუბის, ტოტალიზატორის, სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირი აღნიშნული საქმიანობის ნაწილში ვალდებულია შეასრულოს საგადასახადო აგენტისთვის ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები.

2. ამ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ამ ნაწილის „ე¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე;“;

ბ) „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე¹“ ქვეპუნქტი:

„ე¹“ აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების სისტემურ-ელექტრონული ფორმით (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მომწყობი პირი, რომელიც მოთამაშეზე სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გასცემს თანხას;“.

8. 309-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 133-ე ნაწილი:

„133. აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის მიერ აღნიშნული საქმიანობიდან 2022 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილება მიიჩნევა მოგების განაწილებად და იბეგრება ამ კოდექსის 97-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
22 დეკემბერი 2021 წ.
N1191-VIIრს-Xმპ

ვებგვერდი, 28/12/2021
სარეგისტრაციო კოდი
200000000.05.001.020463

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 309-ე მუხლის:

ა) მე-15 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. 2023 წლის 1 იანვრამდე საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან, მათ შორის, დახლიდან, გარდა ფიზიკური პირისა, რომელსაც მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი ან რომელიც დარეგისტრირებულია ან ვალდებულია დარეგისტრირდეს დღ-ის გადამხდელად ამ კოდექსის შესაბამისად.“;

ბ) 42-ე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) არაუგვიანეს 2023 წლის 1 იანვრისა სრულად უზრუნველყოს ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილები საკონტროლო-სალარო აპარატებით.“;

გ) 111-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„111. ამ კოდექსის 26² მუხლის მე-5 ნაწილისა და 290² მუხლის მოქმედება შეჩერდეს 2023 წლის 1 იანვრამდე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
22 დეკემბერი 2021 წ.
N1205-VIIრს-Xმპ

ვებგვერდი, 13/01/2022
სარეგისტრაციო კოდი
200000000.05.001.020502

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ¹“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ¹) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს – „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელებისას“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
30 დეკემბერი 2021 წ.
N1331-VIIრს-Xმპ

რედაქციაში შემოსულ კითხვებზე პასუხები მოამზადა
გაფის საგადასახადო კომიტეტმა

კითხვა:

გთხოვთ, განმიმარტოთ: საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ, მუხლი 6/2 – გულისხმობს, რომ მეპაიეს პირადი სარგებლობისთვის შეუძლია გამოიყენოს კოოპერატივის ქონება?

პასუხი:

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის სფეროებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კოოპერატივს აძლევს უფლებას, განახორციელოს ამ კოოპერატივის მეპაიეთა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული არ არის. ამასთან, ეს არ ნიშნავს კოოპერატივის ვალდებულებას, განახორციელოს ასეთი საქმიანობა, თუ ის არაა დადგენილი კოოპერატივის წესდებით ან მეპაიესთან გაფორმებული ხელშეკრულებით. აქვე გასათვალისწინებელია ის, რომ კოოპერატივი მენარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირია და მისი ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მიმართულია მეპაიეთა სასარგებლოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, განიხილება ეკონომიკურ საქმიანობად და დაიბეგრება სსკ-ის მიხედვით.

კითხვა:

სამშენებლო კომანია ასრულებს მშენებლობას და ეტაპობრივად აბარებს, შემდგომ ახორციელებს მიღება-ჩაბარებას და წერს ანგარიშ-ფაქტურას „მოცულობის თანხის რაოდენობით“. მშენებლობის დასრულების პროცესში მოხდა კვ. მ აზომვა და აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ სართულზე, რომელიც ჩაბარდა ივნისში, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის თანახმად, კვადრატულობა ნაკლები რაოდენობით იყო გამოთვლილი, ახლა კი ანგარიშ-ფაქტურა უნდა გამოიწეროს დაკლებული რაოდენობის ნაწილზე.

გვანტერესებს, რომელი თვით უნდა გამოიწეროს ანგარიშ-ფაქტურა, ივნისის თვის თუ დეკემბრის?

აქვე აღვნიშნავთ, რომ დეკემბერში ვაბარებთ ბოლო ეტაპს და ამით სრულდება მშენებლობა.

პასუხი:

თუ დოკუმენტებიდან დგინდება, რომ მომსახურების ერთ-ერთი ეტაპი დასრულდა ივნისში, მაშინ ეს ოპერაცია უნდა დაიბეგროს (დადეკლარირდეს) ივნისში. რაც შეეხება ანგარიშ-ფაქტურას, მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, იგი გამოიწერება მიმდინარე თვეში, მაგრამ მასში მითითებული იქნება დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების თვე (ივნისი). ვინაიდან, თქვენი კითხვიდან გამომდინარე, კორექ-

ტირების საფუძველი არ არსებობს, კანონმდებლობის მიხედვით, უნდა გაუქმდეს ივნისში გამონერვილი არასწორი ანგარიშ-ფაქტურა და გამოინეროს (მიმდინარე თვის რიცხვით და ივნისის პერიოდის მითითებით) ახალი ანგარიშ-ფაქტურა.

კითხვა:

შპს-ს 2021 წლის 4 ოქტომბერს მიენიჭა არაკვალიფიციური დღგ-ს გადამხდელის სტატუსი. ამავე თვის 18 რიცხვში ისევ კვალიფიციურზე მოვიდა შეტყობინება და 21 ოქტომბრიდან გახდა კვალიფიციური დღგ-ს გადამხდელი.

როგორ უნდა მოვიქცეთ: მთელი თვის შემოსავალი დავბეგროთ დღეებზე პროპორციულად, თუ 4 ოქტომბრიდან თვის ბოლომდე – პროპორციულად?

პასუხი:

არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭება არ აჩერებს გადასახდელი დღგ-ის დეკლარირებისა და გადახდის ვალდებულებას. თქვენ გეზღუდებათ მხოლოდ ანგარიშ-ფაქტურის გამონერვისა და დღგ-ს ჩათვლის მიღების უფლება.

კითხვა:

კლიენტისთვის შევასრულეთ საერთაშორისო გადაზიდვა. ტერმინალზე შენახვის, კონტეინერების მოცდენის, დაცლის და სხვა მომსახურების საფასური გამოგვინერა „ემ-ეს-სი“-მ, რომელიც უნდა ავანაზღაურებინოთ ჩვენს კლიენტს, ანუ უნდა გადავყიდოთ ეს მომსახურება.

ეს მომსახურებები დღგ-ით დაუბეგრავია – შენახვის გარდა, როცა ვყიდულობთ „ემ-ეს-სი“-სგან, მაგრამ როცა ჩვენ უნდა გადავყიდოთ ჩვენს კლიენტზე, ამ ახალი დღგ-ს რეგულაციებით უნდა დავბეგროთ თუ არა?

მაგალითის სახით განვიხილოთ სიტუაცია: პი-სი-არ-ტესტირების მომსახურება რომ შევიძინოთ და მერე გავყიდოთ, თუ ჩვენ გავყიდით, უნდა დავბეგროთ, მაგრამ პი-სი-არ-ის გამყიდველი ლიცენზირებული სამედიცინო კომპანია არ იბეგრება?

პასუხი:

თქვენი შედარება არ არის კორექტული, ვინაიდან ერთ შემთხვევაში მომსახურება თავისუფლდება, იმის მიუხედავად, ვინ არის მისი გამწვევი. მეორე შემთხვევაში კი თავისუფლდება მხოლოდ კონკრეტული პირის (ლიცენზირებული სამედიცინო კომპანია) მიერ გაწეული მომსახურება. გადაზიდვების სფეროში სამედიცინო სფეროს მსგავსი მიდგომის გამოყენება არ ხდება. თუ მომსახურების თავდაპირველად გამწვევი კომპანია ნამდვილად გათავისუფლებულია დღგ-ისგან, ჩვენი აზრით, „გადაყიდული“ სატრანსპორტო მომსახურებაც არ დაიბეგრება დღგ-ით იმ ნაწილში, რა ნაწილშიც იგი არ დაიბეგრა თავდაპირველ გამყიდველთან.

კითხვა:

გამარჯობა, ფირმას ჩაერიცხა გრანტი. ხელშეკრულებაში გაშიფრულია, რაზე უნდა დაიხარჯოს საგრანტო თანხა. ერთ-ერთი თანხა განკუთვნილია ფიზიკური პირის მომსახურების ანაზღაურებისთვის (100 აშშ დოლარი ყველა გადასახადის ჩათვლით, საგრანტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე). გთხოვთ, აგვიხსნათ: ამ 100 აშშ დოლარში მხოლოდ დაქირავებულის საპენსიოს 2% შედის, თუ დამქირავებლის 2%-იც?

პასუხი:

თქვენს კითხვაზე პასუხი საგრანტო ხელშეკრულებაში უნდა მოძებნოთ. საზოგადოებრივი ალვნიშნავთ, რომ ფიზიკური პირისთვის მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას, ფიზიკურ პირს მისაღები თანხიდან უკავდება საპენსიო შენატანი (2%) და საშემოსავლო გადასახადი (20%). გარდა ამისა, მომსახურების მიმღები პირი ამ ფიზიკური პირის საპენსიო ანგარიშზე დამატებით რიცხავს კიდევ 2%-ს.

კითხვა:

მივლინებისას საქართველოში რეგისტრირებულ შპს-ს საზღვარგარეთ (თურქეთში) თურქულმა კომპანიამ გაუნია მომსახურება და უნდა გადაურიცხოთ თანხა.

როგორც ვიცით, ეს ოპერაცია არ იბეგრება დღგ-ით და საშემოსავლო გადასახადით. ხომ ვერ გვეტყვი, რომელი გადასახადებით იბეგრება?

პასუხი:

თუ ეს ოპერაცია, თქვენი თქმით, არ იბეგრება დღგ-ითა და საშემოსავლო გადასახადით, იგი შეიძლება დაექვემდებაროს არარეზიდენტის მოგების გადასახადით დაბეგრას. თქვენი კითხვიდან გამომდინარე, ვინაიდან არ არის დაკონკრეტებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი გარემოებები (რა მომსახურება მიიღეთ, რა მიზნით, არეობს თუ არა რეზიდენტობის ცნობა და ა.შ.), უფრო კონკრეტული პასუხის გაცემის საშუალება არ გვაქვს.

კითხვა:

ინდივიდუალურ მენარმეს, მცირე ბიზნესის სტატუსით, რომელსაც დაქირავებული პირები არ ჰყავს და დღგ-ის გადამხდელი არ არის, აქვს საპენსიოს გადახდის ვალდებულება? რამდენადაც ვიცით, ეს ნებაყოფლობითია.

პასუხი:

ი/მ, ზოგადად, შეიძლება ჩართული იყოს როგორც დასაქმებულის (2%+2%+2%), ისე თვითდასაქმებულის (4%+2%) საპენსიო სქემაში.

დასაქმებულის სავალდებულო საპენსიო სქემაში სავალდებულო წესით განევრინებულად ითვლებიან (დასაქმებულის სქემა) ის პირები, რომლებიც 2018 წლის აგვისტოსთვის მდგომარეობით, 40 წელზე უფრო ნაკლები ასაკის იყვნენ. კომპანია

ვალდებულია, ასეთ პირებს დაუკავოს 2%, ასევე კომპანია საკუთარი ჯიბიდან იხდის განაცემის თანხის 2%, ხოლო სახელმწიფო პირს საპენსიო ანგარიშზე ურიცხავს 2%-ს, 1%-ს ან – არაფერს მიღებული შემოსავლის ოდენობის შესაბამისად. ამ თარიღის მდგომარეობით, 40 წლისა და მეტი ასაკის პირებს შეეძლოთ (შეუძლიათ) გამოსულიყვნენ საპენსიო სქემიდან, თუ პირველი სავალდებულო განევრინების მომენტიდან 3-5 თვეში საპენსიო სააგენტოში განაცხადებდნენ სქემიდან გასვლის სურვილს. ყველა სხვა შემთხვევაში, სქემაში განევრება სავალდებულოა.

გარდა ამისა, ზოგადად, ი/მ-ებისთვის არსებობს ე.წ. თვითდასაქმებულის საპენსიო სქემა, რომელიც ნებაყოფლობითია და მასში ჩართვა არ არის სავალდებულო.

კითხვა:

გთხოვთ განვიმარტოთ, რა განსხვავებაა დღგ-ს კვალიფიციური და არაკვალიფიციური გადამხდელის სტატუსს შორის და რამდენად არსებითია ეს სტატუსი მცირე მენარმისათვის?

პასუხი:

არაკვალიფიციურ დღგ-ის გადამხდელს ეზღუდება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და ანგარიშ-ფაქტურით დღგ-ის ჩათვლის უფლება. არაკვალიფიციური გადამხდელის სტატუსის შემოღების ძირითადი მიზანია, მოხდეს ე.წ. ყალბი საფ-ებით (უსაქონლო ოპერაცია, ფიქტიური გარიგება) დღგ-ის ჩათვლისა და ბიუჯეტის კუთვნილი თანხების უკანონოდ მითვისების პრევენცია. ასეთი სტატუსის მინიჭება ან კვალიფიციური სტატუსის მოთხოვნაზე უარის თქმა ხდება ისეთ შემთხვევებში, როგორცაა:

1. ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოდან გადამხდელის უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით;
2. მრავალი თვის განმავლობაში პირადი აღრიცხვის ბარათზე ოპერაციის (გატარების) არ არსებობა;
3. აღიარებული დავალიანება;
4. პარტნიორის აღიარებული დავალიანება;
5. პარტნიორის მიერ დაფუძნებული სხვა კომპანიის აღიარებული დავალიანება;
6. სხვა შემთხვევები.
7. სხვა განსხვავება ამ სტატუსებს შორის არ არის.

კითხვა:

ვართ შპს, გვაქვს პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია, 2021 წლის ბოლოს წარმოების თანამშრომლებზე გაიცა საახალწლო პრემია.შ ეგვიძლია თუ არა გაცემული პრემიის თანხა დავამატოთ პროდუქციის თვითღირებულებას? ასევე, გვინტერესებს წარმოების თანამშრომლების ჯანმრთელობის ნებაყოფლობითი დაზღვევა, ერთ შემთხვევაში, და მეორე შემთხვევაში, შეიძლება თუ არა სავალდებულო დაზღვევა დავამატოთ პროდუქციის თვითღირებულებას და გადასახადების კუთხით. ამ საკითხებიდან რომელიმე ხომ არ ცვლის გარემოებას?

პასუხი:

ეს საკითხები უნდა მონესრიგდეს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტებითა და თქვენი სააღრიცხვო პოლიტიკით. გადასახადების კუთხით. ეს საკითხები არაფერს ცვლის, თუ, რა თქმა უნდა, აღნიშნულ განაცემებს ბეგრავთ (გარდა სავალდებულო დაზღვევისა) საშემოსავლო გადასახადით.

კითხვა:

სატრანსპორტო საშუალების რეალიზაციის მიღება-ჩაბარების აქტი შედგა 2021 წლის 31 დეკემბერს, მაგრამ მისი იურიდიული გადაფორმება მოხდა 2022 წლის 10 იანვარს. რომელი პერიოდის რეალიზაციას ეკუთვნის ეს ოპერაცია და რომელი პერიოდით ამოვწეროთ დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურა?

პასუხი:

აღნიშნული საკითხი არ რეგულირდება საგადასახადო კოდექსით, თუმცა, თუ მის რეგისტრაციაში მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციას გულისხმობთ, ჩვენი აზრით, ოპერაცია მიეკუთვნება 2021 წლის დეკემბერს.

კითხვა:

რომელი თარიღით უნდა გამოვთვალოთ იმპორტირებული საქონლის ტრანსპორტირების საფასურის კურსი, რომლის ღირებულებაც გადახდილი იქნა აშშ დოლარში - როცა ტრანსპორტირების საფასური გადავიხადეთ, თუ, როცა საქონლის განბაჟება მოხდა (დოკუმენტი გვაქვს მხოლოდ ინვოისი)?

პასუხი:

თუ საუბარია ე.წ. „ესტონური მოდელის სანარმოზე“, მაშინ ეს საკითხი ფინანსური აღრიცხვის საკითხია და საგადასახადო კანონმდებლობით არ რეგულირდება.

სხვა შემთხვევაში, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაცია ლარში გადაიტანება ამ ოპერაციის განხორციელების დღის კურსით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი (თუ სწორად გავიგეთ, გადახდა წინ უსწრებდა მომსახურების მიღების მომენტს) – თანხის გადახდის მომენტ(ებ)ში არსებული კურსით.

ინფორმაცია ბირჟებიდან

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი კურსები უცხოური ვალუტების მიმართ 2022 წლის იანვარში

თარიღი	ბულგარული ლემი	დანიური კრონა	აშრო	ფუნტი სთერლინგი	ისლანდიური კრონა	სერბული დინარი	ნორვეგიული კრონა	კოლუმბური გლოტი	რუმინული ლეი	უნგრული ფორინტი	შვედური კრონა	შვეიცარული ფრანკი	ჩეხური კრონა	ამერიკული დოლარი
	1	10	1	1	100	100	10	10	10	100	10	1	10	1
01.12.21	1,7891	4,7051	3,4991	4,1710	2,3707	2,9759	3,5053	7,6154	7,0704	0,9468	3,4141	3,3854	1,4072	3,0892
02.12.21	1,7891	4,7051	3,4991	4,1710	2,3707	2,9759	3,5053	7,6154	7,0704	0,9468	3,4141	3,3854	1,4072	3,0892
03.12.21	1,7891	4,7051	3,4991	4,1710	2,3707	2,9759	3,5053	7,6154	7,0704	0,9468	3,4141	3,3854	1,4072	3,0892
04.12.21	1,7930	4,7158	3,5072	4,1738	2,3761	2,9825	3,5076	7,6440	7,0886	0,9540	3,4101	3,3834	1,4117	3,0887
05.12.21	1,7854	4,6939	3,4913	4,1726	2,3589	2,9691	3,4853	7,6322	7,0567	0,9553	3,3966	3,3671	1,4081	3,0883
06.12.21	1,7902	4,7083	3,5023	4,1894	2,3760	2,9783	3,5032	7,6630	7,0789	0,9665	3,4173	3,3840	1,4232	3,0964
07.12.21	1,7866	4,6987	3,4952	4,1803	2,3875	2,9718	3,4866	7,6567	7,0711	0,9692	3,3871	3,3642	1,4236	3,0890
08.12.21	1,7866	4,6987	3,4952	4,1803	2,3875	2,9718	3,4866	7,6567	7,0711	0,9692	3,3871	3,3642	1,4236	3,0890
09.12.21	1,7866	4,6987	3,4952	4,1803	2,3875	2,9718	3,4866	7,6567	7,0711	0,9692	3,3871	3,3642	1,4236	3,0890
10.12.21	1,7866	4,6987	3,4952	4,1803	2,3875	2,9718	3,4866	7,6567	7,0711	0,9692	3,3871	3,3642	1,4236	3,0890
11.12.21	1,7895	4,7056	3,5000	4,1984	2,3909	2,9764	3,5017	7,7115	7,0805	0,9792	3,4019	3,3532	1,4360	3,0900
12.12.21	1,7900	4,7051	3,5002	4,2027	2,3811	2,9772	3,4946	7,7074	7,0781	0,9795	3,4003	3,3351	1,4376	3,0893
13.12.21	1,7934	4,7122	3,5065	4,2064	2,3855	2,9817	3,5295	7,7367	7,0907	0,9844	3,4111	3,3429	1,4351	3,0875
14.12.21	1,8085	4,7545	3,5376	4,2410	2,4065	3,0086	3,5668	7,8152	7,1563	0,9949	3,4559	3,3800	1,4525	3,0866
15.12.21	1,8031	4,7394	3,5268	4,2260	2,3959	2,9993	3,5420	7,7738	7,1344	0,9938	3,4418	3,3778	1,4399	3,0775
16.12.21	1,8031	4,7394	3,5268	4,2260	2,3959	2,9993	3,5420	7,7738	7,1344	0,9938	3,4418	3,3778	1,4399	3,0775
17.12.21	1,8031	4,7394	3,5268	4,2260	2,3959	2,9993	3,5420	7,7738	7,1344	0,9938	3,4418	3,3778	1,4399	3,0775
18.12.21	1,7994	4,7277	3,5183	4,2162	2,3966	2,9914	3,5287	7,7753	7,1159	0,9899	3,4128	3,3729	1,4396	3,0811
19.12.21	1,7948	4,7202	3,5130	4,1992	2,4062	2,9883	3,5188	7,7602	7,1035	0,9848	3,4070	3,3720	1,4386	3,0840
20.12.21	1,7948	4,7202	3,5130	4,1992	2,4062	2,9883	3,5188	7,7602	7,1035	0,9848	3,4070	3,3720	1,4386	3,0840
21.12.21	1,7887	4,7003	3,4980	4,1990	2,4091	2,9742	3,5051	7,7364	7,0732	0,9811	3,3818	3,3677	1,4423	3,0825
22.12.21	1,7843	4,6903	3,4908	4,1791	2,4009	2,9688	3,4801	7,7024	7,0596	0,9776	3,3550	3,3762	1,4348	3,0794
23.12.21	1,7843	4,6903	3,4908	4,1791	2,4009	2,9688	3,4801	7,7024	7,0596	0,9776	3,3550	3,3762	1,4348	3,0794
24.12.21	1,7843	4,6903	3,4908	4,1791	2,4009	2,9688	3,4801	7,7024	7,0596	0,9776	3,3550	3,3762	1,4348	3,0794
25.12.21	1,7793	4,6766	3,4808	4,1515	2,3873	2,9605	3,4282	7,6529	7,0383	0,9682	3,3284	3,3724	1,4243	3,0763
26.12.21	1,7729	4,6561	3,4661	4,1358	2,3742	2,9480	3,4108	7,5680	7,0113	0,9617	3,3028	3,3402	1,4159	3,0720
27.12.21	1,7716	4,6527	3,4625	4,1464	2,3781	2,9444	3,4547	7,5500	7,0029	0,9619	3,3191	3,3351	1,4139	3,0696
28.12.21	1,7541	4,6081	3,4298	4,1133	2,3589	2,9170	3,4292	7,5030	6,9362	0,9564	3,2812	3,3028	1,4007	3,0637
29.12.21	1,7376	4,5671	3,3994	4,0858	2,3574	2,8909	3,3925	7,4268	6,8722	0,9497	3,2336	3,2790	1,3885	3,0521
30.12.21	1,7376	4,5671	3,3994	4,0858	2,3574	2,8909	3,3925	7,4268	6,8722	0,9497	3,2336	3,2790	1,3885	3,0521
31.12.21	1,7376	4,5671	3,3994	4,0858	2,3574	2,8909	3,3925	7,4268	6,8722	0,9497	3,2336	3,2790	1,3885	3,0521

თარიღი	კანადური დოლარი	ამსტერდამური დოლარი	ეგიპტური გირგანძა	თურქული ლირა	იაპონური იენი	აგს დირჰამი	ირანული რიალი	ისრაელის შეკელი	სინგაპურული დოლარი	შვედური დინარი	ჩინური იუანი	ჰონკონგური დოლარი	ინდური რუპია	ახალგელანდური დოლარი
	1	1	10	1	100	10	10000	10	1	1	10	10	100	1
01.12.21	2,4286	2,2440	1,9656	0,2312	2,6835	8,4106	0,7355	9,9459	2,2898	10,2122	4,8676	3,9621	4,1556	2,1130
02.12.21	2,4286	2,2440	1,9656	0,2312	2,6835	8,4106	0,7355	9,9459	2,2898	10,2122	4,8676	3,9621	4,1556	2,1130
03.12.21	2,4286	2,2440	1,9656	0,2312	2,6835	8,4106	0,7355	9,9459	2,2898	10,2122	4,8676	3,9621	4,1556	2,1130
04.12.21	2,4363	2,2402	1,9659	0,2309	2,6826	8,4092	0,7354	9,9774	2,2884	10,2106	4,8594	3,9611	4,1593	2,1093
05.12.21	2,4237	2,2279	1,9613	0,2306	2,6653	8,4081	0,7353	9,9964	2,2782	10,1924	4,8452	3,9624	4,1423	2,0979
06.12.21	2,4350	2,2449	1,9712	0,2301	2,6751	8,4302	0,7372	10,0142	2,2836	10,2191	4,8621	3,9730	4,1640	2,1093
07.12.21	2,4210	2,2157	1,9656	0,2252	2,6661	8,4100	0,7355	9,9379	2,2715	10,1947	4,8435	3,9599	4,1464	2,0900
08.12.21	2,4210	2,2157	1,9656	0,2252	2,6661	8,4100	0,7355	9,9379	2,2715	10,1947	4,8435	3,9599	4,1464	2,0900
09.12.21	2,4210	2,2157	1,9656	0,2252	2,6661	8,4100	0,7355	9,9379	2,2715	10,1947	4,8435	3,9599	4,1464	2,0900
10.12.21	2,4210	2,2157	1,9656	0,2252	2,6661	8,4100	0,7355	9,9379	2,2715	10,1947	4,8435	3,9599	4,1464	2,0900
11.12.21	2,4487	2,2248	1,9670	0,2243	2,6732	8,4127	0,7357	9,9175	2,2818	10,2149	4,8484	3,9634	4,1736	2,0938
12.12.21	2,4439	2,2187	1,9623	0,2236	2,6759	8,4108	0,7355	9,8693	2,2826	10,1957	4,8469	3,9623	4,1797	2,0902
13.12.21	2,4621	2,2258	1,9627	0,2230	2,6755	8,4059	0,7351	9,9197	2,2845	10,1898	4,8503	3,9612	4,1770	2,0927
14.12.21	2,4724	2,2551	1,9604	0,2269	2,6945	8,4035	0,7349	9,9149	2,2940	10,2138	4,8526	3,9624	4,1776	2,1230
15.12.21	2,4640	2,2373	1,9615	0,2271	2,7017	8,3787	0,7327	9,8876	2,2876	10,1568	4,8455	3,9531	4,1502	2,1087
16.12.21	2,4640	2,2373	1,9615	0,2271	2,7017	8,3787	0,7327	9,8876	2,2876	10,1568	4,8455	3,9531	4,1502	2,1087
17.12.21	2,4640	2,2373	1,9615	0,2271	2,7017	8,3787	0,7327	9,8876	2,2876	10,1568	4,8455	3,9531	4,1502	2,1087
18.12.21	2,4639	2,2252	1,9584	0,2278	2,6916	8,3885	0,7336	9,9192	2,2869	10,1686	4,8538	3,9556	4,1500	2,0985
19.12.21	2,4638	2,2168	1,9635	0,2279	2,6892	8,3964	0,7343	9,8641	2,2863	10,2018	4,8548	3,9572	4,1351	2,0885
20.12.21	2,4638	2,2168	1,9635	0,2279	2,6892	8,3964	0,7343	9,8641	2,2863	10,2018	4,8548	3,9572	4,1351	2,0885
21.12.21	2,4678	2,2311	1,9621	0,2293	2,6978	8,3923	0,7339	9,8291	2,2896	10,1968	4,8578	3,9589	4,1371	2,0890
22.12.21	2,4612	2,2178	1,9594	0,2297	2,7038	8,3839	0,7332	9,8104	2,2895	10,1832	4,8566	3,9539	4,1376	2,0724
23.12.21	2,4612	2,2178	1,9594	0,2297	2,7038	8,3839	0,7332	9,8104	2,2895	10,1832	4,8566	3,9539	4,1376	2,0724
24.12.21	2,4612	2,2178	1,9594	0,2297	2,7038	8,3839	0,7332	9,8104	2,2895	10,1832	4,8566	3,9539	4,1376	2,0724
25.12.21	2,4390	2,1937	1,9572	0,2287	2,7063	8,3754	0,7325	9,7173	2,2862	10,1763	4,8623	3,9516	4,1255	2,0577
26.12.21	2,4308	2,1922	1,9553	0,2269	2,6921	8,3637	0,7314	9,6579	2,2847	10,1554	4,8532	3,9452	4,1082	2,0512
27.12.21	2,4422	2,2018	1,9532	0,2270	2,6882	8,3572	0,7309	9,6492	2,2829	10,1508	4,8553	3,9423	4,1050	2,0548
28.12.21	2,4156	2,1719	1,9464	0,2250	2,6597	8,3411	0,7295	9,5887	2,2671	10,1179	4,8149	3,9323	4,0809	2,0297
29.12.21	2,3871	2,1304	1,9391	0,2240	2,6407	8,3096	0,7267	9,5432	2,2492	10,0696	4,7980	3,9158	4,0672	1,9973
30.12.21	2,3871	2,1304	1,9391	0,2240	2,6407	8,3096	0,7267	9,5432	2,2492	10,0696	4,7980	3,9158	4,0672	1,9973
31.12.21	2,3871	2,1304	1,9391	0,2240	2,6407	8,3096	0,7267	9,5432	2,2492	10,0696	4,7980	3,9158	4,0672	1,9973

თარიღი	რუსული რუბლი	ამერიკანული დოლარი	ბელორუსული რუბლი	თურქმენული მანათი	მოლდავეური ლეი	სომხური დრამი	ტაჯიკური სომონი	უზბეკური სუმი	უკრაინული გრივნა	ყაზახური თენგე	ყირგიზული სომი	სამხრეთ აფრიკული რანდი	ბრაზილიური რეალი
	100	1	10000	10	10	1000	10	1000	10	100	100	10	1
01.12.21	4,1236	1,8173	1,2078	8,8263	1,7375	6,4274	2,7393	0,2855	1,1322	0,7155	3,6477	1,9411	0,5546
02.12.21	4,1236	1,8173	1,2078	8,8263	1,7375	6,4274	2,7393	0,2855	1,1322	0,7155	3,6477	1,9411	0,5546
03.12.21	4,1236	1,8173	1,2078	8,8263	1,7375	6,4274	2,7393	0,2855	1,1322	0,7155	3,6477	1,9411	0,5546
04.12.21	4,1576	1,8196	1,2046	8,8249	1,7364	6,4106	2,7402	0,2855	1,1320	0,7104	3,6450	1,9530	0,5544
05.12.21	4,1209	1,8195	1,2068	8,8237	1,7326	6,4073	2,7426	0,2852	1,1313	0,7100	3,6419	1,9370	0,5442
06.12.21	4,0876	1,8240	1,1991	8,8469	1,7310	6,4307	2,7513	0,2862	1,1285	0,7140	3,6538	1,9444	0,5447
07.12.21	4,0616	1,8193	1,1932	8,8257	1,7231	6,3904	2,7361	0,2856	1,1238	0,7084	3,6429	1,9595	0,5404
08.12.21	4,0616	1,8193	1,1932	8,8257	1,7231	6,3904	2,7361	0,2856	1,1238	0,7084	3,6429	1,9595	0,5404
09.12.21	4,0616	1,8193	1,1932	8,8257	1,7231	6,3904	2,7361	0,2856	1,1238	0,7084	3,6429	1,9595	0,5404
10.12.21	4,0616	1,8193	1,1932	8,8257	1,7231	6,3904	2,7361	0,2856	1,1238	0,7084	3,6429	1,9595	0,5404
11.12.21	4,1180	1,8172	1,1966	8,8286	1,7217	6,3942	2,7398	0,2854	1,1235	0,7087	3,6439	1,9794	0,5484
12.12.21	4,1236	1,8187	1,1984	8,8266	1,7187	6,4043	2,7435	0,2853	1,1234	0,7093	3,6454	1,9845	0,5448
13.12.21	4,1407	1,8177	1,2025	8,8214	1,7134	6,4181	2,7378	0,2850	1,1146	0,7101	3,6432	1,9939	0,5540
14.12.21	4,1357	1,8137	1,2081	8,8189	1,7091	6,4164	2,7384	0,2848	1,1132	0,7115	3,6422	2,0162	0,5591
15.12.21	4,0434	1,8085	1,1965	8,7929	1,7066	6,3953	2,7317	0,2839	1,1012	0,7071	3,6312	2,0074	0,5565
16.12.21	4,0434	1,8085	1,1965	8,7929	1,7066	6,3953	2,7317	0,2839	1,1012	0,7071	3,6312	2,0074	0,5565
17.12.21	4,0434	1,8085	1,1965	8,7929	1,7066	6,3953	2,7317	0,2839	1,1012	0,7071	3,6312	2,0074	0,5565
18.12.21	4,0213	1,8151	1,1907	8,8031	1,7103	6,4089	2,7349	0,2844	1,0961	0,7074	3,6339	2,0015	0,5573
19.12.21	4,0371	1,8168	1,1931	8,8114	1,7112	6,4082	2,7374	0,2849	1,0863	0,7075	3,6411	1,9946	0,5584
20.12.21	4,0371	1,8168	1,1931	8,8114	1,7112	6,4082	2,7374	0,2849	1,0863	0,7075	3,6411	1,9946	0,5584
21.12.21	4,0305	1,8160	1,1994	8,8071	1,7054	6,3946	2,7326	0,2850	1,0879	0,7082	3,6369	2,0276	0,5661
22.12.21	4,0259	1,8101	1,1973	8,7983	1,7032	6,3888	2,7320	0,2844	1,0875	0,7061	3,6340	2,0363	0,5664
23.12.21	4,0259	1,8101	1,1973	8,7983	1,7032	6,3888	2,7320	0,2844	1,0875	0,7061	3,6340	2,0363	0,5664
24.12.21	4,0259	1,8101	1,1973	8,7983	1,7032	6,3888	2,7320	0,2844	1,0875	0,7061	3,6340	2,0363	0,5664
25.12.21	3,9149	1,8134	1,1841	8,7894	1,7091	6,3916	2,7304	0,2839	1,0840	0,7083	3,6278	2,0148	0,5643
26.12.21	3,9081	1,8066	1,1743	8,7771	1,7119	6,3834	2,7277	0,2839	1,0721	0,7074	3,6252	2,0018	0,5594
27.12.21	3,8759	1,8052	1,1687	8,7703	1,7156	6,3685	2,7254	0,2837	1,0662	0,7065	3,6219	2,0251	0,5642
28.12.21	3,9068	1,8002	1,1689	8,7534	1,7082	6,3418	2,7201	0,2834	1,0579	0,7058	3,6149	2,0106	0,5630
29.12.21	3,9160	1,7939	1,1680	8,7203	1,7003	6,3190	2,7096	0,2823	1,0608	0,7034	3,6012	1,9635	0,5641
30.12.21	3,9160	1,7939	1,1680	8,7203	1,7003	6,3190	2,7096	0,2823	1,0608	0,7034	3,6012	1,9635	0,5641
31.12.21	3,9160	1,7939	1,1680	8,7203	1,7003	6,3190	2,7096	0,2823	1,0608	0,7034	3,6012	1,9635	0,5641

ფინანსური მართვა
აუდიტი და მარნეულებელი მომსახურება
საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც პასუხისმგებელია დამქირავებელი ორგანიზაციის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ან დამტკიცებაზე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენისთვის დადგენილი სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა დაუშვას, რომ ინტერესთა კონფლიქტმა გამოიწვიოს მისი პროფესიული ან საქმიანი გადწყვეტილებების კომპრომენტირება.